

ეროვნული
ბიბლიოთეკა

619
1969

# დროშა

№ 12 დეკემბერი 1969

ეროვნული ბიბლიოთეკა



რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკები საქართველოს სსრ კოლმეურნეთა III ყრილობის დელეგატთა ჯგუფთან ერთად.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.



ყრილობის დელეგატებმა დარბაზში შემოიტანეს საქართველოში დაარსებული ერთ-ერთი პირველი კომუნის დროშა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 12 (397) დეკემბერი, 1969 წ.
გამოცემის წელი 47-ე.
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# თბილისი 1969 წ. საქართველოს კოლმეურნეთა III ყრილობა



სხდომათა დარბაზში.

III ყრილობა 1969

ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი.



10.925

ცხრათვალა მზე ბრუნავს ცაზე
ხარობს მიწა მშობელი
და საქვეყნო ტრიბუნაზე
დგას ქართული სოფელი, —
უხვი, როგორც ოქტომბერი,
ტურფა, როგორც აპრილი,
პურის მთებით ოქროსფერით,
ბაღთა მწვანე აფრებით;
ჩაის ბწკარით, ზვრების ზღვებით.
ზღაპარს რომ ჰქმნის, იმ ხელით,
მკერდზე ოქროს ვარსკვლავებით,
გულში — მზიან სიმღერით.
სოფლის მშრომელთ გაუმარჯოს,
მათს დიდებულ ყრილობას,
მათს გმირობას, შრომას, გარჯას,
მათს მამულიშვილობას!

**თეიმურაზ ჯანგულაშვილი**

საქ. კ პ ც კ გამომცემლობა

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

რუსუდან ნიკოლაძე

# დაუვიწყარი დღეები და წუთები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნევას ნაპირებზე

უენევის იმ დღეების შემდეგ გავიდა წლები, ისე რომ ლენინი არ გვინახავს, თუმცა აქ ერთი ამბავი მინდა გავიხსენო: ძველი სტილით 22 აპრილს, „პრავდას“ პირველი ნომერი რომ გამოვიდა, ერთი ცალი მეც მერგო მეორე დღეს, პეტერბურგში. მასში რამდენიმე წამყვანი წერილი ლენინს ეკუთვნოდა, და სწორედ ისე იყო დაწერილი, როგორც ის უენევაში კამათობდა. ხმამაღლა რომ წავიკითხეთ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ცოცხალი ლენინი ვნახეთ და მოვისმინეთ იმ „გიორგობა დღეს“ (23 აპრილს), რაც ამ გაზეთის მომტანმა ამხანაგმა ასე აღნიშნა ხუმრობით, ვითომდა ჩვენი გიორგის დღეობის გახსენებით:

— Вот вам, товарищи и современный наш «Юрьев день!»

ჩვენ შეკრებილნი ვიყავით ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმიური ლაბორატორიის ჩემს სამუშაო ოთახში; ეს იყო ჩვენი ვიწრო წრე, ჩვენ გულდაწყვეტილნი ვიყავით, ვინაიდან თერთმეტი დღის წინ რევოლუციონერთა მიერ ამ საკონსპირაციოდ არჩეულ ქალაქში, სადაც ისინი ასე გაბედულად მოქმედებდნენ მეფისა და მისი „ოხრანის“ ცხვირწინ, დააპატიმრეს სერგო ორჯონიკიძე; ამ ამბავს ჩვენი საუკეთესო ქართველი ნევისპირელი (და არა მარტო ქართველი) ახალგაზრდობა ძლიერ განიცდიდა: ასეთ ვითარებაში „პრავდის*“ გამოჩენა, ჩვენთვის, ცხადია, სულის ამოთქმასავით იყო.

* * *

1912 წლის შემდეგ გავიდა კიდევ ხუთი წელი; დროის ამ მონაკვეთმა ჯერ 1914 წელი მოუტანა ჩვენს პლანეტას, ე. ი. პირველი მსოფლიო ომი, მერე, 1917 წლის თებერვალი, და ბოლოს დიადი ოქტომბერი, მთელი მისი ბრწყინვალე შედეგებით, რომელთა გამოსხივება ამჟამად უკვე მთელ კოსმოსს სწვდება, მთვარეს გადასცდა და ვენერას აღწევს, მზისკენ მიიწევს.

ამ ეპოქალური ძვრების დასაწყისს, თუ პირველ ნაწილს, ჩვენი ოჯახი ნევას ნაპირებზე შეხვდა, იქ ვიყავით შუა ივნისამდე. ამის შემდეგ შინ დავბრუნდით, თბილისსა და ჯიხაიშში. მას აქეთ ნახევარ საუკუნეზე მეტია გასული და რა ნახევარი საუკუნე! მაგრამ 1917 წლის 20-23 თებერვლიდან შუა ივნისამდე თითქმის ყოველი დღე, და ათითხუთმეტი ღამეც, თითქოს გუშინდელივით ცოცხლად მახსოვს.

ეს იყო მეტად მძიმე დრო: უკვე მესამე წელი მიდიოდა, რაც უზარმაზარი იმპერიის ოავზე ომის ხანძარი მძვინვარებდა. აუტანელ დღეში იყვნენ ფრონტზე ჯარები, ხოლო ზურგში — მოსახლეობა. თვით სატახტო ქალაქს, პეტროგრადად სახელშეცვლილ სანკტ-პეტერბურგს პურიც კი შემოაკლდა, დანარჩენ საკვებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო: ცხენის და დათვის ხორცს ჰყიდდნენ, როცა ჩნდებოდა „ხორცი“; ყოველდღე უზარმაზარი „კუდები“ იყო ჩამწკრივებული სასურსათო და განსაკუთრებით პურის წერტების წინ. აივსო დამშეული ხალხის მოთმინების ფიალა. დაიწყო არეულობა რიგებში... გამოსვლები... ჯერ წვრილ-წვრილი. მერე მეტი და მეტი. მოდიოდა ცნობები, რომ პეტროგრადს გარდა, მღელვარება მოედო მოსკოვს, ბაქოს, ნიჟნი-ნოვგოროდს და სხვა ქალაქებს. თებერვლის მეორე ნახევრიდან პეტროგრადის ღარიბი რაიონების ქუჩებზე, სასურსათო რიგებში ხან აქ, ხან იქ იწყებოდა უფრო და უფრო მზარდი „მშიერთა ამბოხებანი“. ჩემმა მეუღლემ, ისტორიკოსმა მიხეილ პოლიექტოვმა აიჩემა: ნუთუ ოცდაერთ თებერვალს არაფერი მოხდება?

თურმე ეს თარიღი რომანოვების დინასტიის მამამთავრის, მიხეილ რომანოვის ტახტზე აყვანის დღე ყოფილა 304 წლის წინ. ჩემი მეუღლე გულისხმობდა, რომ ტახტის დამხობაც ამ დღეს უნდა მომხდარიყო.

— Типун тебе на язык! — შეუტია თავის შვილს ჩემმა დედამთილმა, მგზნებარე მონარქისტმა.

მაგრამ „მიხეილ-ავყიას“ (როგორც თავისი დედა ეძახდა) ენამ ნამდვილად უყივლა სულ ოდნავი დაგვიანებით. იმ ხანებში დაიწყო დიდი ქარხნების ცნობილი გაფიცვები და მასობრივი გამოსვლები, ხალხის აღშფოთება ისე დიდი იყო, რომ მთელი მთავრობა დაიბნა, სამხედროც, სამოქალაქოც; დაიწყო, რა თქმა უნდა, ვიბორგის მუშურმა რაიონმა; ჩვენ, ქალები, განსაკუთრებით ვამაყობდით იმით, რომ 23 თებერვალს (ახალი სტილით 8 მარტს) „პირველი ცეცხლი ქალებმა აახრიალეს“, საქსოვი ქარხნების მუშებმა: ქმრებს ფრონტზე გვიღუპავთ, შვილებს კი შიმშილით გვიხოცავთ, ძირს ასეთი ხელისუფლებაო! იმავე დღეს გაიფიცნენ ვიბორგის რაიონის ყველა დიდი საწარმოს მუშები. და მათ ზვავივით გამოჰყვა ქუჩებში პეტროგრადის მთელი მუშათა კლასი. დაიწყო სისხლისმღვრელი შეტაკებები, რამაც ბევრი მუშა იმსხვერპლა. 26 თებერვალს (11 მარტს) პოლიტიკური დემონსტრაციები უკვე აჯანყებად იქცა. ჯარი ნელ-ნელა ხალხის მხარეზე გადადიოდა.

როგორც უკვე ვთქვი, თვითმპყრობელური რეჟიმის მესვეურნი თავიდანვე დაიბნენ. 23 თებერვლის მასობრივი გამოსვლებით გულგახეთქილ „ოხრანკას“ და თვით პეტროგრადის სამხედრო ოლქის სარდალს გენერალ ხაბალოვს მეფისათვის ფსკოვში, მის სამხედრო ბანაკში ცნობა უფრენია: ხალხი აღარ გვემორჩილებაო, რაზედაც 25 თებერვალს ხაბალოვს პასუხად ასეთი უზენაესი ბრძანება მოსვლია: „გიბრძანებთ ჩაახშოთ დაწყებული არეულობა“.

თავისთავად ცხადია, რა უნდა მოჰყოლოდა მეფის ასეთ ბრძანებას. დაიწყო დამშეული, გამწარებული, უდანაშაულო ხალხის ჟლეტა და ხვრეტა. „წესრიგის დამცველნი“ ამის შემდეგ ხალხის ყოველ ახალ გამოსვლას სამხედრო ნაწილების საპასუხო ცეცხლით ხვდებოდნენ; როცა შეატყეს, რომ ჯარიც უარს ამბობდა ესროლა მშიერი ხალხისათვის, „სარდლობამ“ პროტოპოპოვის ცნობილი პოლიცია და შავრაზმული სამხედრო სასწავლებლების იუნკრები გამოიყვანა. თავთავიანთი ტყვიისმფრქვევებით ჩაასაფრეს ისინი მრავალსართულიანი, კუთხის სახლების სხვენებზე, სახურავებიდან სასროლად; ან კიდევ მოედნების დამყურე ტაძრების გუმბათებზე და სამრეკლოებზე; ასე, მაგალითად, მარტო ისააკის ტაძრის გუმბათზე 11 ტყვიამფრქვევი იდგა.

აქვე არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი ამბავი, რომელიც ჩემს იმდროინდელ დღიურში მაქვს აღნიშნული: ზამთრის სასახლის კომენდანტმა რატიშვილმა, თურმე არასგზით არ მისცა ხაბალოვს ნება 30 ტყვიამფრქვევი დაედგა სასახლის სახურავზე; ამისათვის მან შენობის დაცვა მოიმიზეზა და თქვა: თუ გინდათ დამხვრიტეთ, მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, არ დავუშვებ, რომ რომანოვების გვარმა ასეთი შავი დაღით დაამთავროს თავისი მეფობა — თავისი ხალხის და ჯარის ხვრეტით საკუთარი სასახლიდანო.

ამას გადაურჩენია ეს სასახლე ტყვიებით დაზიანებისა ან ცეცხლის მოდებისაგან.

ტყვიამფრქვევის ერთი ასეთი ბუდე ჩვენს პირდაპირაც ჰქონდა მოწყობილი გენერალ ხაბალოვს, ისე რომ რამდენჯერმე ჩვენს სახლსაც დაუშინეს ცეცხლი.

მახსენდება 26 თებერვლის კვირა დღე. ქუჩები ხალხით იყო სავსე. დემონსტრანტები ქალაქის მთავარი ძარღვისკენ, ნევის პროსპექტისაკენ მიემართებოდნენ. აქ მათ, ყოველ მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე, ტყვიების სეტყვა ხვდებოდათ. ათეულობით ეყარა მოედნებზე მოკლულები და ასეულობით დაჭრილები, რომელთაც თავგამოდებით ჰკრეფდა და თავს დასტრიალებდა საშუალო და უმაღლესი სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობის მოხალისეთა „რევოლუციური წითელი ჯვარი“; ასეთი მოხალისეთა ჯგუფები ჩვენ ჩამოყალიბებული გვქონდა 1905 წელსაც, შემოდგომის გაფიცვებისთვის. ოღონდ, რა შესადარებელი იყო 1905 წლის გამოსვლები ამ საზარელ სისხლისღვრასთან?! ასეთ დღეში დანამდვილებით ჯერ არავის ენახა ეს მრავლის მომსწრე და განუმეორებელი ქალაქი.

და აი, უკვე ბოლო მოეღო ხალხის მოთმინებას და სწორედ ამან შეწყვიტა უეცრად და გადაჭრით ეს ულმერთობა: ჯარებიც აჯანყა. თურმე ხაბალოვს პავლოველების პოლკის სასწავლო ჯგუფის იუნკრებიც გაეყვანა ნევის პროსპექტზე. დემონსტრაციის მონაწილე მუშებმა ეს ამბავი სასწრაფოდ აცნობეს პავლოველთა მეოთხე ასეულს; ამ ცნობამ მთელი პოლკი იმწამსვე ფეხზე წამოაყენა და ყაზარმიდან გამოიყვანა აჯანყებულებთან შესაერთებლად. აქ მათ ჯერ ცხენოსანი პოლიციელების რაზმი დახვდა, რომელიც უკუაქციეს; მაშინ მათ წინააღმდეგ საუკეთესო სამხედრო ნაწილი გამოიყვანეს — მეფის გვარდიის „პრეობრაჟენცების“ პოლკი. მაგრამ ამაოდ: როცა „პრეობრაჟენცებმა“ დაინახეს ვის უნდა შებრძოლებოდნენ, ბრძანებაზე „ცეცხლი!“ თოფები ისევ მხრებზე აიწყვეს, მიტრიალდნენ და უკან წავიდნენ, თავიანთ ყაზარმებში, რომელიც ჩვენს მახლობლად იყო განლაგებული. რა მოელოდა ამისათვის ორივე პოლკის მეამბოხეებს?

პავლოველ მეამბოხეთა 19 მეთაური, ამავე ღამეს, სიკვდილით დასასჯელად პეტრე-პავლეს ციხეში გადაიყვანეს; „პრეობრაჟენცებს“ ეს ამბავი დაუყოვნებლივ აცნობეს ამხანაგებმა. ამან გადაწყვიტა საკითხი: წინა დღის ამბებისა და პავლოველთა დაპატიმრების გამო პროტესტის ნიშნად ვოლინელების და „პრეობრაჟენცების“ აქტივმა გადაწყვიტა ყაზარმების მიტოვება, მათ სხვა პოლკებსაც შეუარეს, აქვე, მეზობელ ქუჩებზე მდებარე ყაზარმებში განლაგებულებს. და მთელმა ამ ზღვამ თავრიდის სასახლისაკენ დაიწყო დენა, სადაც სახელმწიფო სათათბირო იყო მოთავსებული.

* იხ. „დროშა“, № 11.

ხალდა იყვნენ სხვენებზე ჩასაფრებული იუნკრები, თავიანთი ტყვიამფრქვევებით? ან ქვემოთ, ტროტუარებზე კეტებით ხელში დამწკრივებული მეეზოვეები და ქუჩების ჯვარედინებზე დაყენებული „გოროდოვოების“ ჯგუფები? ყველა ეს გაქრა, თითქოს აჯანყებული ხალხისა და ჯარების ტალღამ წალეკაო.

იმჟამად ჩვენი ოჯახი, გარდა ენაკიევოში მომუშავე გიორგისა, ყველანი პეტროგრადში ვიყავით შეკრებილი და თავრიდის სასახლის ახლოს ვცხოვრობდით, ფურშტადტის (ამჟამად პეტრე ლავროვის) ქუჩის და ვოსკრესენსკის (ამჟამად ჩერნიშევსკის) პროსპექტის კუთხის დიდ სახლში; ჩვენს საერთო, მაუდ-დაფენილ დიდ კიბეზე პროფესორ ალექსანდრე ცაგარელის ბინაც გამოდიოდა, სხვებისაც. ჩვენ კი, ნიკოლაძეების და პოლიევქტოვების ოჯახები ორ სართულად ვიყავით დაყოფილი: ახალი გაზეთის „რუსსკაია ვოლიას“ რედაქტორად გამოწვეული, მეფის მთავრობის მიერ ფოთს მოშორებული მამაჩემი, დედა და ჩემი და თამარი მესამე სართულზე იყვნენ, ჩვენ კი, ე. ი. მე, ჩემი ქმარ-შვილით და დედამთილით — მეოთხე სართულზე გვქონდა ბინა; მამამ და მიხეილმა (ჩემმა მეუღლემ) ამას ხუმრობით. Добрососедские русско-грузинские отношения დაარქვეს (ეს მიხეილის საკვლევაძიებო თემა იყო). ეს ცნება მოიცავდა ორივე ჩვენი ბინის ურთიერთობას პროფესორ ცაგარელის ბინასთანაც, მას აქეთ, რაც თებერვლის რევოლუციამ პირველი დღეებიდანვე ყველანი დიდი მოვლენების მოწმენი გაგვხადა. ხშირად ვიკრიბებოდით ხან ერთ, ხან მეორე ბინაზე, იყო გაცხოველებული სჯა-ბაასი არა მარტო რუსეთის რევოლუციის, არამედ საქართველოს ბედზეც. მომხსენებლები უმრავლეს შემთხვევებში იყვნენ თვით პროფ. ალ. ცაგარელი და ქართველ მეცნიერთა ახალი თაობის თავკაცი ივანე ჯავახიშვილი, მაშინ ჯერ კიდევ პრივატ-დოცენტი პეტროგრადის უნივერსიტეტისა.

მამაჩემი და ჩემი მეუღლე მიხეილი ამ შეკრებების უაღრესად აქტიური მონაწილენი იყვნენ. მე და თამარი კი, 27 თებერვლის შუადღიდან, სულ სხვანაირად ჩავებით თებერვლის რევოლუციის დუღილში: როგორც კი დავინახეთ ჩვენი ბინების ფანჯრებიდან თავრიდის სასახლისაკენ მისწრაფებული ჯარების ზღვა, სამხედრო ნაწილების და მოქალაქეების ერთმანეთში არეული ჯგუფები, მე და თამარმაც იმწამსვე დავტაცეთ ხელი ჩვენს თბილ ქუდებს და ქურქებს, რადგან მაგრად ყინავდა იმ დღეს, და შევუერთდით იმ ცოცხალ მორევს, რომელთანაც ერთად მივადექით თავრიდის სასახლის მსოფლიოში განთქმული სილამაზის თუჯიდან ჩამოსხმულ გისოსს. თუ არ ვცდები, დღის ორი საათი იქნებოდა.

მაგრამ ვის უნდა მიეღო ეს ხალხი იმ დღეს სასახლეში? გუშინ ქუჩებში სისხლის გუბეები იდგა. ისმოდა გაუთავებელი სროლა. ნაშუალამევს, რედაქციიდან როგორც იყო დაბრუნებულმა მამაჩემმა (ო, რა შიში გამოვიარეთ მისთვის), გარდა იმ დღის ხოცვა-ჟლეტის ამბებისა, კიდევ ცნობა მოიტანა მეფის „სტავკიდან“ მოსული ბრძანების თაობაზე სახელმწიფო სათათბიროს აპრილამდე დათხოვის შესახებ. მაშ ვიღა დაგვხვდებოდა სასახლეში?

უცებ გისოსზე გადმომდგარი კარლო ჩხეიძე დავინახეთ. მან სიტყვით მიმართა ხალხს. ჰიშკარში რომ შევედით, იქ შესავალ კარში კერენსკი დაგვხვდა; მალე როძიანკო გამოვიდა ჩვენთან, ცნობილ სვეტებიან დარბაზში, სადაც ჩვენ ვიდექით და გამოგვიცხადა, რომ მათ გამოჰყვეს დამხობილი ხელისუფლების დროებით ჩამნაცვლებელი ხელმძღვანელობა, სათათბიროს დროებით-აღმასრულებელი კომიტეტი, შემოკლებით „დე-კა“.

მოვლენები ელვის სისწრაფით ცვლიდნენ ერთიმეორეს. ცხადია, იმ დღეებში ჩვენთვის ყველაფერი ნათელი არ იყო. მეც და თამარიც თავრიდის სასახლის ახლადნაკურთხი „პოლიტიკოსები“ ვიყავით და ყველაფერში უფრო გვიან, ლენინის ჩამოსვლის შემდეგ გავერკვიეთ.

* * *

დავუბრუნდეთ ისევ 27 თებერვლის ამბებს. თავრიდის სასახლე, სადაც ჩვენ იმ დღეს შევყევით მუშებსა და ჯარისკაცებს, ჩემთვის კარგად იყო ცნობილი უკვე 1906 წლიდან, როცა დაიწყო მისი შუა ნაწილის სასწრაფო გადაკეთება მრავალადგილიან სასხდომო დარბაზად (სახელმწიფო სათათბიროსათვის სჭირდებოდათ). ინჟინერმა პალაშკოვსკიმ მისი ამფითეატრის აგება მიანდო მამაჩემის მიერ ფოთის და ჭიხაიშის მშენებლობისთვის ბელგიიდან მოწვეულ ცნობილ ჰენებიკის რკინა-ბეტონის ფირმას. 1906 წლის 27 აპრილს იხსნებოდა პირველი სათათბირო, და თებერვალსა თუ მარტში მამა ფოთიდან ჩამოვიდა იმ გადაკეთების მსვლელობის გასაცნობად. ორჯერ-სამჯერ მეც წამიყვანა თან. როგორც მომავალი ქიმიკოსი, ბეტონის მასის მზადების პროცესის გასაცნობად. საქმე ისაა, რომ ზაფხულიდან ფოთში, ამავე წესით, უნდა დაეწყოთ თეატრის ახლანდელი შენობის აგება, ჭიხაიშში კი — ცხენისწყლის გამომყვანი თხრილების სისტემის რაბები უნდა გადმოეყვანათ ამ სინესტის გამძლე მასალაზე, ხონიდან იანეთის გუბისწყლის ხიდამდე, სამტრედია-კოპიტნარის ლიანდაგზე. მამამ ყველაფერი ეს შესძლო, მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, ათასგვარი სიძნელისა; ეს ხომ 1906-1907 წლები იყო, როცა რეაქცია ზეიმობდა, როცა განუკითხავად თარეშობდნენ ალიხანოვ-ავარსკის ჯარები. ირგვლივ კვამლის სუნი იდგა და თვით ჰაერიც კი მოშხამული იყო. და აი ამ ამბიდან ათი წლის შემდეგ ჯარი აღარა სცნობს მეფეს, აჯანყებულია... გასაგებია, თუ რა გრძნობით შევდგით ფეხი მე და თამრომ, ამ ჯარისკაცებთან ერთად, თავრიდის სასახლის დარბაზში.

სასახლეში ყველას უკვე თავისი ადგილი ეჭირა. აქ იყო „სათათბიროს კომიტეტიც“, „სამხედრო კომისიაც“, რომელიც ამ კომიტეტს ემორჩილებოდა, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოც.

მთელი იმ დღის განმავლობაში, შუადღიდან ნაშუაღამევამდე სასახლეში გაუთავებელი მიტინგები მიდიოდა, ირეოდა ზღვა ხალხი. პირველივე დღიდან, მეც და თამროც, სხვა უმაღლეს სასწავლებლებიდან მოსულ ახალგაზრდებთან ერთად საქმეში ჩავებით.

ჯარებს შემოყოლილ სხვა კერძო პირებთან ერთად, ჩვენ მთელი პირველი დღე მოვანდომეთ აქ გადმოსული ჯარების დაბინავების და კვების მოწყობის საქმეს, ჯარისკაცებს თავიანთი ყაზარმები უკვე მიტოვებული ჰქონდათ, და, ცხადია, ახლა მათი მომარაგება ადვილი არ იყო.

ჯარისკაცებისათვის საჭმლის შოვნისა და მომარაგების თვალსაზრისით ბევრი შრომა გასწიეს ბესტუჟევის კურსების ქალთა ჯგუფებმა, რომელთაც, ჯარისკაცებისავე თანხლებით, სატვირთო მანქანებით ვასილის კუნძული შემოიარეს რამდენჯერმე, მოინახულეს ნაცნობი ოჯახები და იქიდან ფუთობით მოუზიდეს აჯანყებულებს შემოწირული სურსათ-სანოვაგე და პური. ოტტის ცნობილი სამშობიარო სახლიდან კი შემწვარი ბატები და შამპანურიც კი მოუვიდათ ფეშქაშად სპეციალურად „პრეობრაჟენცებს“.

მეორე დღეს, ე. ი. 28 თებერვალს, სასახლეში გატარებული თითქმის უძილო ღამის შემდეგ, მე დილიდანვე ორი შეხვედრა მქონდა „წარსულთან“: ჯერ, წინა დღეს აქ მოსული ჯარების დილის საუზმის დროს გაისმა ხმები: — სემიონოველები მოდიან! სემიონოველები! ეს პოლკი ადრე, კერძოდ 1905 წლიდან ცნობილი იყო თავისი შავრაზმული განწყობილებებით. რამდენჯერ გამოუყვანიათ იგი, ჩვენი სტუდენტური გამოსვლების დასარბევად! ამიტომ ახლა ჩვენ, ის ადამიანები, ვინც ამ სასახლეში მყოფთა შორის მარცხენა ფრთას ვეკუთვნოდით, დიდი სიხარულით შევხვდით მათ მიერ ფარხმლის დაყრას; ჯარისკაცების შემოსვლის დროს გაისმოდა ხმები:

— Дорогу раскаявшимся. Семеновцы идут!

რამდენი შავი წუთი აღსდგა ჩემს მეხსიერებაში, სემიონოველთა მუნდირები რომ დავინახე!

ჩემთან და თამროსთან ერთდროულად სასახლეში კიდევ ორი ქართველი ქალი იმყოფებოდა, ორივე ბესტუჟეველი სტუდენტი, ერთი იყო ისტორიკოსი, პროფ. ტარლეს და ჩემი მეუღლის სტუდენტი, რუსუდან მიქელაძე, ამჟამად თბილისის თეატრალური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი და დამსახურებული ბიბლიოთეკარი. მეორე იყო ანა ჩხეიძე, შემდგომ თბილისის უნივერსიტეტის ლიტერატურისმცოდნეობის პროფესორი და მეცნიერებათა დოქტორი, აწ განსვენებული.

ჩვენი თამრო კი იმჟამად უკვე ახლად კურსდამთავრებული იყო; ჩემსავით ისიც პედაგოგიურ (აწ გერცენის სახელობის) ინსტიტუტში იყო დატოვებული თავისი დარგის, ფიზიოლოგიის კათედრასთან, მეცნიერული ხარისხის მისაღებად (რასაც ახლა ასპირანტურა ჰქვია). მე ეს „დატოვება“ შვიდი წლით ადრე მქონდა გამოვლილი და ამიტომ თამროს თანაკურსელები ჩემი სტუდენტებიც იყვნენ (ქიმიას ვუკითხავდი). ამიტომ ახლა თავრიდის სასახლეში ამდენი სამუშაოს აღმოჩენის შემდეგ, მე და თამრომ მისი ყოფილი თანაკურსელებიც მოვიწვიეთ ჩვენს დასახმარებლად; სასახლეში დაიწყო ტელეფონების ქსელის აღდგენა და ჩვენ აქაც საჭირონი ვიყავით. უკვე 27 თებერვალს დიდი დახმარება გაგვიწია ჩვენთვის სრულიად მოულოდნელმა ადამიანმა — პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ, თავისი სამხედრო-საავტომობილო სასწავლებლით, სადაც ის იმჟამად მუშაობდა: მათ იერიშით აიღეს ტელეფონის სადგური, რომელსაც პოლიცია საგანგებოდ იცავდა, გადაჭრეს დამხობილი ხელისუფლების სატელეფონო ხაზები და აამუშავეს ახალი ვითარებისათვის საჭირო ქსელი.

ეს იყო ჩემი მეორე შეხვედრა წარსულთან. მაიაკოვსკი ხომ ჩვენებური, „ქუთაისელი პოეტი“ იყო. წინა წელს მაიაკოვსკი და კამენსკი ერთად ჩამოვიდნენ ჟელეზნოვოდსკში, სადაც ჩვენ ზაფხულს ვატარებდით. ეს იყო დრო მათი „ფუტურიზმისა“, როდესაც ამ პოეტებს თავიანთი შთაგონების სიმბოლოდ ნარინჯის ფერი ჰქონდათ გამოცხადებული, რის გამო მიხაკის ნაცვლად... სტაფილოს ატარებდნენ გულზე. მაშინ კამენსკი ნარინჯისფერი მიტკლის ბლუზით გამოვიდა პარკში, ესტრადაზე თავისი ლექსებით... ახლა კი მაიაკოვსკის სასწავლებელი წითელი დროშით შემოვიდა. წინ თითონ პოეტი მოუძღვებოდათ, აღგზნებული იყო, ანთებული თვალები ჰქონდა.

— მუშაობენ თქვენი ტელეფონები? — შეგვეკითხა ის. გუშინდელს აქეთ აპარატები მუშაობდნენ. მართლაც გამაყრუებლად რეკავდა სასახლის ყველა სექტორის ტელეფონი. და ეს თურმე მათი გაკეთებული ყოფილიყო.

მაიაკოვსკიმ შემდგომში ასე გაიხსენა ეს დღეები:

«Влез в кабинет Родзянки. Осмотрел Милюкова. Молчит. Но мне почему-то кажется, что он заикается. Через час надоели. Ушел».

და აი, ახლა ჩვენ დავუტრიალდით ტელეფონებს. სასახლის ტელეფონთა ქსელი ადრე სათათბიროს-

თვის იყო მოწყობილი და ერთი მისი ნაწილი, დეპუტატების საჯარო ხმარებისთვის განკუთვნილი, შენობის ხმაურისგან დასაცავად, სპეციალურ ბუდრუგანებში იყო მოთავსებული, რიცხვით ათამდე. მათ შორის პირველი ორი დადგმული იყო სვეტებიანი დარბაზის ცენტრში. მათ „მთავარი ბუდრუგანები" ერქვა, № 1 და № 2.

ორივე ამ მთავარი ბუდრუგანის ცვლის და მორიგეობის უფროსებად მე და თამრო დაგვნიშნეს. განსხვავებით დანარჩენი, გარეშე პირებისთვისაც მისაწვდომი წერტებისა, ეს ორი ხაზი განსაკუთრებული დანიშნულებისა იყო: პირველს, შემოკლებით, „ჩხეიძის ბუდრუგანას" ეძახდნენ. ამ ბუდრუგანადან საბჭოს მიერ დაკავებულ № 13 ოთახამდე ას-ასოც მეტრამდე მანძილი იყო გასარბენი, გამოძახებული პიროვნების მოსაყვანად. მაგრამ მაშინ აბა ვის შეაშინებდა ასეთი წვრილმანი?

№ 2 ბუდრუგანა კი მარჯვენა ფრთას გადაეცა, ე. ი. სათათბიროს, მისი დროებითი კომიტეტებით და კომისიებით, რომელთაც 2 მარტიდან დროებითი მთავრობა ჩაუდგა სათავეში. მაგრამ იმ ბუდრუგანას ბოლომდე როძიანკოს სახელი შერჩა.

ამიტომ მე და თამრომ № 2 ბუდრუგანა სათათბიროს მრავალრიცხოვან ხელქვეითებს გადავულოცეთ, თვითონ კი № 1 ბუდრუგანა ავიღეთ მთლიანად ჩვენს თავზე, დღელამურად, ურთიერთშეცვლით. ასე გადავიქეცით ჩვენ მარტო მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მოხალისე თანამშრომლებად.

რა შესანიშნავად დაგვიხასიათა და გაგვაცნო იმ ჩვენმა მუშაობამ საბჭოს მთავარი პირები. ძირითადად, ურეკავდნენ სამ კაცს: ჩხეიძეს და მის მოადგილეებს. მაგრამ რა განსხვავება იყო მათს რეაგირებას შორის. ჩხეიძეც და სკობელევიც ჩვენსავით სულ სირბილ-სირბილით წამოვიდოდნენ ხოლმე ტელეფონთან, ყოველ გამოძახებაზე. სამაგიეროდ მესამე, ყველა მმართველ დაჯგუფებაში შემავალი კერენსკი, ყოველ გამოძახებაზე საშინლად გაიპრანჭებოდა, დაიწყებდა გამოძიებას — ვინ მიხმობს, რატომ, რისთვის? ამიტომ იყო, რომ სულ მალე ალარც ერთი მორიგე აღარ კისრულობდა აქეთ-იქით სირბილს მის გამოსაძახებლად და ყველას უპასუხებდნენ, აქ არ არისო.

ტელეფონით კი ქარხნებიდან და ჯარის ნაწილებიდან, კარგი ამბების გარდა, ცუდიც მოდიოდა: აქა-იქ, 27 და 28 თებერვალსაც გრძელდებოდა ბნელი ძალების შეტაკებები სასახლისაკენ მომავალ ხალხის ნაკადებთან და ზოგჯერ სროლაც; მთავარი საძაგლობა კი ის იყო, რომ ჯარის ნაწილების ხალხის მხარეზე გადმოსვლით გულგახეთქილი „ოხრანკის" გულშავ ხელმძღვანელობას, თავისი ბნელი საქმეების გამომჟღავნების შიშით, ერთდროულად ცეცხლი წაეკიდებინა პეტროგრადის ოლქის სასამართლოს უშველებელი შენობისთვის (ლიტეინი პროსპექტზე, რომელზედაც ჩვენი ქუჩაც გადიოდა) და პოლიციის ყველა უბნის სადგომისათვის („უჩასტოკი" რომ ერქვა). ეს, თურმე, იმიტომ, რომ იქ ყველგან ინახებოდა პოლიტიკურ დევნილთა და დასჯილთა საქმეები; ოლქის სასამართლოს შენობა კი სპეციალური მიწისქვეშა გვირაბით შეერთებული იყო აქვე, პროსპექტზე გამომავალ ქუჩაზე აღმართულ ექვსსართულიან სატუსაღოსთან, რომელსაც „წინასწარი დაპატიმრების სახლი" ეწოდებოდა. იმ გვირაბით ერეკებოდნენ ჟანდარმები დაპატიმრებულ „პოლიტიკურებს", აქეთ — საქმის გარჩევაზე, უკან კი სიკვდილით დასჯის ან კატორღაში გაგზავნის განაჩენით.

ახლა ეს შენობა, მთელი იმ საქმეების არქივებით, ბრიალებდა, იწვოდა, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სახანძრო რაზმი ეხვია ირგვლივ. მარტო მესამე დღეს ჩააქრეს საბოლოოდ ხანძარი, მანამდე კი, ორ დღე-ღამეზე მეტის მანძილზე, ცას სწვდებოდა მისი ალი და კვამლი.

ჩვენი ბინების ფანჯრებიდან კარგად ჩანდა მთელი ეს ხანძარი, რომელიც ბნელმა ძალებმა გააჩაღეს იმ მიზნით, რომ კვამლის ბნელი ფარდა გადაეფარებინათ იმ ჯოჯოხეთისათვის, იმ ტანჯვისა და წამების დილეგებისათვის, რომელიც თვითონვე მოაწყეს და რომელსაც რუსეთის იმპერია ეწოდებოდა. ვუცქეროდით მე და თამრო, და გული გვტკიოდა; იქნებ ამანაც გამოგვიყვანა ქუჩაზე 27 თებერვალს და აჯანყებული ხალხის ზღვასთან ერთად თავრიდის სასახლისაკენ აგვაღებინა გეზი. მარტო ჩვენ კი არა, ასე ახლოს დანახულმა „პოლიტიკურთა საქმეების" ხანძარმა, ჩემი მეუღლეც, ისტორიკოსი და გულმოდგინე არქივისტიც აამოქმედა სასწრაფოდ; მან 28 თებერვლის დილიდანვე დაიწყო ზრუნვა ისტორიული კვლევა-ძიებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის დაცვისა და შეგროვებისათვის. პირველ რიგში მას და მამაჩემს, თურმე, სადაც კი შეიძლებოდა, შეუტყობინებიათ და ზომები მიუღებინებიათ სასამართლოს შენობაში და მახლობელ „უჩასტკებში" (პოლიციის უბნებში) ცეცხლის ჩასაქრობად. მართლაც, შემდგომში ბევრი საინტერესო მასალა აღმოჩნდა იმ კიდე-მომწვარ, უკანასკნელ წუთებში გადარჩენილ საქაღალდეებში!

ისტორიკოსი-არქივისტი ყველგან ისტორიკოსად რჩება. და ჩემი მეუღლე (როგორც ტელეფონით შევიტყვეთ) თავის მეგობართან, პროფესორ პრესნიაკოვთან ერთად, იმავე 28 თებერვლიდან შეუდგა ყველაფრის ნახულის და გაგონილის ჩაწერას. ხანძრების ჩაქრობასთან დაკავშირებით კი მათ, თურმე, გადაუწყვეტიათ ახლავე, დროის დაუკარგავად დაეარსებინათ რევოლუციის შემსწავლელი საზოგადოება.

საზოგადოებას ჯერ დაერქვა „1917 წლის რევოლუციის შემსწავლელი საზოგადოება", მერე კი „რუსეთის რევოლუციის შემსწავლელი საზოგადოება". თავმჯდომარე იყო ცნობილი პროფ. პრესნიაკოვი, თავრიდის სასახლის სექციის თავმჯდომარე — პროფ. პოლიევქტოვი (1918 წლიდან სამხედრო სექციის თავმჯდომარეც); საზოგადოების მდივანი იყო პროფ. ხილინსკი; პირველი ორი რუსეთის ისტორიის სპეციალისტები იყვნენ, ხილინსკი კი— აღმოსავლეთისა.

მაგრამ ჯერ ისევ იმხანად ახლად დაწყებულ მოვლენებს დავუბრუნდეთ. თებერვლის ძლიერ დაძაბული დღეები (23-28) დაამგვირგვინა რომანოვების დინასტიისთვის საბედისწერო მარტმა, რომელმაც ამჯერად სამუდამოდ დაუმხო მათ ტახტი. ჩემმა მეუღლემ გაგვახსენა, რომ პავლე პირველიც მარტში გაისტუმრეს საიქიოს, 13 რიცხვში, მისი შვილიშვილი ალექსანდრე II-ც პირველ მარტს მოჰკლეს ყუმბარით.

საქართველოს ეს ამბავი ახარა აკაკისთან შემოფრენილმა „მერცხალმა" 8 მარტის სამგლოვიარო ჩარჩოში ჩასმული „დროების" პირველივე გვერდიდან. ეს უკვე მამამ გაიხსენა, როდესაც აქაც მას მერცხლის მაგიერ თამრომ ახარა 3 მარტს სასახლის ტელეფონით ნიკოლოზის გადადგომა. ამაზე მამამ, თურმე, იმწამსვე წამოიძახა:

— აფსუს, რა გახარებული იქნებოდა აკაკი დღეს ამ ამბით, ნეტავ ცოტა კიდევ ეცოცხლა... შვილიშვილიც ხომ „გადმოუბრძანა" ტახტიდან აფეთქებულ მეფეს მის მიერ „განთავისუფლებულმა" ხალხმაო... და დაუმატებია: დღეს შენა ხარ ჩემი და ოლიკოს მერცხალი, შვილო!

ცნობამ რუსეთს მეფე აღარა ჰყავსო — აუწერელი აღტაცება გამოიწვია. ადამიანები ერთმანეთს ულოცავდნენ, როგორც აღდგომა დღეს იცოდნენ. მე და თამრო. იმწამსვე ორივე ბუდრუგანას დავეპატრონეთ და ჯერ შინ, ჩვენს ორივე სართულს ვახარეთ, მერე ჩვენს კათედრებს ინსტიტუტში, მერე ყველა მეგობარს. ყველას სასახლისაკენ ვიწვევდით, შემოსასვლელ ჰიშკართან, სადაც უნდა წაეკითხათ ცნობა მეფის გადადგომაზე. როძიანკომ ეს საქმე მიანდო თავისი კომიტეტის ყველაზე მძლავრხმიან კაცს, კაზაკების დეპუტატს ყარაულოვს.

ამ კითხვის დაწყებამდე ჩვენ, ტელეფონებზე მომუშავეებმა, რომლებსაც სპეციალური საშვები გვქონდა სასახლის ყველა ოთახში შესასვლელად, ვისარგებლეთ ამ პრივილეგიით და იქაურობა სულ შემოვირბინეთ. და როგორ გაგვიკვირდა, რომ ამ მჩქეფარე და საზღვარდაუდებელი სიხარულის დროს დავინახეთ როგორ ჩამოსტიროდათ ცხვირპირი როძიანკოს კომიტეტისა და წინა დღეს ჩამოყალიბებული მთავრობის მინისტრებს, განსაკუთრებით მილიუკოვს, გუჩკოვს და თვით როძიანკოს; მეფის გადადგომასთან ერთად მიღებული იყო ცნობა, რომ მისი ძმაც, მიხეილიც უარს ამბობდა ტახტზე და, ამრიგად, რომანოვები საბოლოოდ მიდიოდნენ ისტორიის არენიდან. მილიუკოვის მიერ წინა დღეს წარმოთქმული „საპროგრამო" სიტყვიდან კი ვიცოდით, რომ ახალ მთავრობას სურდა შეექმნა „ინგლისისა და ნორვეგიის მსგავსი კონსტიტუციური მონარქია" (მეფით და პარლამენტით ერთად, ე. ი. ის, რასაც ჩვენ ვებრძოდით). მიხეილის უარი კი გამორიცხავდა რეგენტობასაც, რომელიც რეაქციის ძალებმა შესთავაზეს მცირეწლოვანი მემკვიდრის გაზრდამდე ე. ი. ახალი რომანოვის გამეფებამდე: მელია-მილიუკოვის ამ ჟანდმა — შეეპარებინა რეგენტი მეფის ნაცვლად — დიდი აღშფოთება გამოიწვია ჯარშიც და მუშათა ორგანიზაციებშიც. და აი, ახლა მილიუკოვის გეგმები საბოლოოდ იმსხვრეოდა და, გასაგებია, რომ რეაქციისათვის ეს თავზარდამცემი იყო.

მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდათ: უნდა გამოსულიყვნენ ხალხის წინაშე და მანიფესტი წაეკითხათ.

ჩვენ კი აღტაცების გრიგალმა შეგვიპყრო და თან წარგვიტაცა. მეფის მიერ ხელმოწერილი გადადგომის გამოცხადება რევოლუციის საბოლოო გამარჯვების ილუზიას გვიქმნიდა და გვეგონა ხალხი ერთი ხელის მოსმით გაბედნიერდებაო. ზემოთაც ვთქვი, ჩვენ „ახლადგამოჩეკილი პოლიტიკოსები" ვიყავით და ვითარების ზუსტი ანალიზი, ცხადია, არ შეგვეძლო.

და აი, 3 მარტს, დღის სამი საათისათვის სასახლესთან აუარებელი ხალხი მოზღვავდა. ხალხი არა თუ შენობაში, ეზოშიც არ შემოუშვეს. სად დაეტეოდა! ამიტომ ეზოს ეს წინა ნაწილი, სადარბაზოდან ჰიშკრამდე და გისოსამდე ჩვენ, სასახლეში მყოფებმა დავიკავეთ. ორატორებისათვის ტრიბუნად გისოსზე მიდგმული მაგიდა გამოვიყენეთ, საიდანაც ყარაულოვმა თავისი მჭექარე ხმით წაუკითხა ხალხს მანიფესტი მეფის გადადგომაზე.

იმ აურზაურში უცებ შევამჩნიე, რომ სასახლის გისოსს, ქუჩის მხრიდან დედა და მამა მოსდგომოდნენ, ღრმად აღელვებული და ბედნიერებისაგან გაბრწყინებული სახეებით. ჩვენ კი, უმცროსი თაობა, ე. ი. თამრო, მე და ჩემი მეუღლე ეზოს მხრიდან ვიყავით იმავე გისოსზე მიწოლილები, რომ როგორმე მშობლებს გამოვლაპარაკებოდით.

მაგრამ საუბარზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო. ყარაულოვის პირველივე სიტყვებმა — „გადადგომა გადავწყვიტეთო", სტიქიური სიხარულის ისეთი გრიგალი ატეხა, კინაღამ დავყრუვდით. ისმოდა შეძახილები — ვაშა! გაუმარჯოს რესპუბლიკას! მთელი ძალაუფლება საბჭოებს! ლიტეინი პროსპექტიდან ახალი ტალღა აწვებოდა და ხალხის ზღვა, სტიქიურად, თავრიდის სასახლის კარის ავლით სმოლნის სასახლისაკენ გაემართა, თითქოს ხალხი ინსტინქტურად უკვე გრძნობდა, თუ საიდან უნდა მოსულიყო ნამდვილი გამარჯვებაც და ნამდვილი თავისუფლებაც.

(გაგრძელება იქნება)

# ექიმის უძილო ღამე

**ვახტანგ ჩხუმიანი**



**გზა უფსკრულის თავზე გადის**

სიბნელეში რაღაცამ გაიჭახუნა კლდის თავზე. ვიდრე მგზავრი გონს მოეგებოდა, უზარმაზარი ყინულის ლოლუა ზათქით დაიფშვნა მის თვალწინ. ცხენი დაფრთხა, კისერი მოიღრიკა და განზე გადახტა, მხედარმა წონასწორობა დაკარგა, გვერდზე მოექცა ცხენს, მერე ხელი სტაცა უნაგირის ტახტას და გასწორდა.

— გზის კიდეზე იარეთ, ექიმო, — მოესმა უკანიდან, — ცხენი მაინც არ გადასცდება გზას.

არაფერი უპასუხნია. აღვირი მოკლედ დაიჭირა და ისევ წინ გააგდო ცხენი.

— თბილი ღამეა და კლდე ველარ იმაგრებს ყინულს, — დაეწია თანამგზავრი, — თუ ასეთი ამინდები დაიჭირა, მალე ენგურიც ატალახდება.

— თბილ ღამეებში მთებიც ვერ იმაგრებენ თოვლს, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და მოტიტვლებულ გორებს აჰხედა, ძლივს გასარჩევად რომ ინაკვთებოდნენ მრუმე ცის ფონზე, — თბილი ღამე მუხთალია, იოლად ვერ მიუხვდები გულისნადებს...

გზა ორიოდე კვირის წინ გაეწმინდა ბულდოზერს, მაგრამ მერე ისევ წამოებარდნა და მუხლამდე თოვლში მიდიოდნენ ახლა ცხენები. ზედ ენგურის თავზე ეკიდა ეს გზა. კაცი, აქედან რომ გადავარდნილიყო, თითსაც ვერაფერს მიაკარებდა მდინარემდე. დათოვლილი ქედები ირეკლავდნენ სადღაც ქვემოთ, ხეობის ძირში გაწოლილი ენგურის მოგუდულ ხმაურს და ცივ, თითქოს იდუმალ ბგერებად ქცეულს მიმოფანტავდნენ ირგვლივ.

— ტრაქტორი თუ ავიდა ბოლომდე? — იკითხა ექიმმა.

— დიზიდან მესამე კილომეტრზე გაფუჭებულა. მერე საცალფეხოა გაკვალული მხოლოდ.

ცხენს ისევ წაჰკრა ქუსლი ფერდში, ააჩქარა. მერე დაიხარა, ნაბდის ქვემოთ ჩაუცურა ხელი. ცხენი წყლიდან ახალამოყვანილივით სველი იყო. ოფლის მძაფრი სუნი ეცა და შეეცოდა პირუტყვი, მაგრამ ამის დრო არ იყო ახლა.

* * *

ახლად დაძინებულს შუაღამისას მოადგა კარს ეს კაცი. ცოლმა ძლივს გამოაღვიძა. დიზში, ოცი კილომეტრით დაშორებულ სოფელში, ანსიანებს ბავშვი გახდომოდათ ავად. თუ შველაა, ისევ შენ გვიშველი, თორემ ვილუპებით და ეს არისო...

ფანჯრიდან გაიხედა — დეკემბრის მოქუფრული ღამე იდგა გარეთ. სასწრაფოდ ჩაიცვა. წინა ღამის უძინარს მთვრალივით ფეხი ერეოდა.

წინა ღამე კი პალატაში გაათენა. პროფოზული სისხლდენა ჰქონდა ავადმყოფს. იწვა დევისხელა ვაჟკაცი და სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა მის ცვილისფერ სახეს.

სისხლის გადასხმა იყო აუცილებელი, მაგრამ ზვავებს რაიონული ცენტრის — მესტიის გზა ჩაეკეტათ და ახლა სისხლის შემცვლელ საშუალებებზეღა ამყარებდა იმედს...

გათენებისას წასთვლიმა ავადმყოფს და თვითონაც გამოეცალა ძალა, ზეზეურად ჩაეძინა სკამზე...

* * *

საზარელი ხმით დაიგრიალა მთამ, თითქოს საარტილერიო ბათქი მისცესო, მერე შორეულ ექოსავით განმეორდა ყრუ გუგუნი და ქარმა თოვლის კორიანტელი დაატრიალა.

მგზავრები უცებ ვერ გაერკვნენ, რომელ მხარეს მოდიოდა ზვავი. დაქვეითდნენ და კლდეს მიკრულებმა ცხენები აიფარეს წინ. ქარბუქი კიოდა გასხეპილ ტოტებში, მტვრად ქცეულ თოვლს აყრიდა ცხენსაც და კაცსაც. ცხენები ფრთქვინავდნენ და თავის წართმევას ლამობდნენ დაფეთებულნი.

ხმაური სწრაფად ახლოვდებოდა და ძლიერდებოდა. იმ ყრუ გუგუნს მტვრევისა და ხეთა ლაწალუწის ხმაც დაერთო ახლა. მერე ცხენიცა და კაციც კლდეს მიახალა ქარმა და ყოველივე მიჩუმდა ისევ...

დაიბერტყეს თოვლწაყრილი ტანსაცმელი, სიბნელეში გაურკვევლად გაუღიმეს ერთმანეთს და კვლავ შესხდნენ ცხენებზე. წყალგამა ბუნდოვნად ჩანდა გრძელი, ნაიარევის მსგავსი ლაქა, რომელიც სადღაც კლდეთა ორწოხებში იწყებოდა და მდინარის ზემოთამდე ჩასდევდა ფერდობს. მოჩანდა მდინარის ტანიც — თეთრად გაწყვეტილი შუაზე...

* * *

ამ გზით უვლია სკოლაში ავთანდილ სუბელიანს. ამ გზაზე დავაჟკაცდა, ამ გზას გაჰყვა პირველად თბილისისაკენ და მერე ზამთარ თუ ზაფხულ, დღისით თუ ღამით, ფეხით, ცხენით თუ მანქანით ამ გზაზე ხეტიალი დაუბედა ამქვეყნად ყველაზე კეთილშობილურმა პროფესიამ.

მხოლოდ აქ გაზრდილმა კაცმა იცის, რამდენჯერ უნდა შეაგდოს ექიმმა საკუთარი სიცოცხლე ბედის სასწორზე, რომ სხვისი სიცოცხლე გადაარჩინოს. მხოლოდ მან იცის, რაოდენ ტკივილად უჯდება ავთანდილს სხვისი ტკივილების დაამება.

ცხრა წლის წინ დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და დაუყოვნებლივ მიაშურა თავის კუთხეს — სვანეთში, მესტიის რაიონის სოფელ ჰუბერის საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა მთავარ ექიმად.

მისი მარჯვენისა და კეთილი გულის იმედი სხვაგანაც რომ არა ჰქონდეთ, ავთანდილს ამ სოფლის ოცდახუთ საწოლიანი საავადმყოფოც ეყოფოდა საჭირისუფლოდ.

* * *

—ავთო, რაღაც მინდა დავწერო შენზე, მაგრამ ზოგიერთი რამის დაზუსტება მჭირდება...

— კაი, თუ ღმერთი გწამს! ჩემზე კი არა, ვისზე დასწერე, იცი? არა, ვინც მე მიდგას გვერდით, იმათზე... ჰუბერის საავადმყოფოში სისტემატურად კეთდება ოპერაციები და ხშირად საკმაოდ რთულიც. ოპერაციებისათვის მესტიიდან სპეციალურად ჩამოდიან გამოცდილი დასტაქრები: გრიშა გირგვლიანი (რაიონის საავადმყოფოს მთავარი ქირურგი), დილარ ჩართოლანი (მთავარი ექიმი), შამილ ფალიანი... ჩემი ავადმყოფების სახელით ასევე მადლიერების გრძნობით მინდა ვახსენო ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი კუკური უდესიანი... როცა საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება, ამ ხალხისთვის არ არსებობს იმ დაბრკოლებებისა და ათასგვარი ხიფათისადმი შიში, რაც მესტია-ჰუბერის ოთხმოც კილომეტრიან გზაზე სიარულს ახლავს თან... შენ კარგად იცი ეს გზა.

* * *

როცა მეორე დღეს დიზიდან გამოემგზავრა, მზე კარგა მაღლა იდგა. თოვლი დარბილებულიყო და ფეხი წამდაუწუმ უცურდებოდა თავქვეზე.

ცოტა ნასვამიც იყო: ბავშვი აღდეგრძელეს ანსიანების ოჯახში. სიკვდილის დამმარცხებელთა მარჯვენაც დალოცეს... ადამიანური თბილი გულიც...

დიზის დალმართები ჩაათავა და აღვირი გადაუგდო ცხენს, შეჯდა. დაღლილობა, უძილობა, ორნახადი რახი მსუბუქ ბინდად განზავდნენ გონებაში...

„— ჩამოდი, ბიჭო, თბილისში, ხომ ხედავ, რა იოლად გადის ხალხი ფონს. სამოთახიან ბინებში რომ გამოჭიმულან და კარზე საკუთარი მანქანები დაუყენებიათ, შენზე უკეთესი სპეციალისტები კი არ არიან ისინი. გეყოფა მაგ ოხერ გზებზე ხეტიალი და ტალახის ზელვა. ეს ცხოვრება მხოლოდ სულელებისთვის არის მძიმე უღელი, ჭკვიანი კაცი სხვარიგად იქცევა... კი უნდა იცოდე მაგი შენ!

— გააჩნია, ვინ როგორ შეხედავს ამ ცხოვრებას!

— კაი, თუ ძმა ხარ, ჰუმანიზმზე არ დამიწყო ლაპარაკი. მადლობას არავინ აუშენებია.

— ვიცი.

— თუ სადმე კისერი მოიტეხე, შენი პატიოსნებისა და კაცთმოყვარეობის ჯილდოდ სამოთხის კარიბჭესთან ქრისტე არ დაგხვდება და სამოთხის ვიზას არ გამოგიწვდის.

— ვიცი.

— თუ იცი, მაშ...

— დამაცადე. გიფიქრია, რა მოუვა ჩვენს ხალხს, ყველამ რომ კუჭით იაზროვნოს? არც ერთი ავადმყოფის პატრონი მე კაპიკს არ მიდებს ჯიბეში, მაგრამ მჯერა — მე რომ ეს დამჭირდეს — სისხლს გაიღებენ ჩემი გულისთვის... მე მჯერა ეს, გესმის?..“

თეთრი დუმილი იდგა ირგვლივ. ცხენი თუ დაიფრუტუნებდა ხანდახან.

**პაციენტები.**



# ცრემლები და ვარდები

შარშან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში ბერლინში გამომცემლობა „Nation“-მა გამოაქვეყნა დიდი კრებული „Tränen und Rosen“ (ცრემლები და ვარდები).

ამ კრებულში, რომელიც შეიცავს 532 გვერდს, შესულია ლექსები ომისა და მშვიდობის შესახებ, დაწერილნი 5 ათასი წლის მანძილზე. დავასახელებთ რამდენიმე მათგანს:

1. ანონიმი. ფრაგმენტი ერთი სუმერული პოემისა.
2. ში-კინგ (ლექსთა კრებული), უძველესი ლექსები ჩინური პოეზიისა.
3. ჰომერი. „დაისვენებდეთ, იტაკელებო“ (ფრაგმენტი „ოდისეადან“):
4. „სპარსელნი“ ტიმოთეოს მილეთელისა. გაშიფრულია უძველესი ბერძნული პაპირუსიდან, რომელიც იპოვნეს დიდი პირამიდის სამხრეთით.
5. ესხილეოსი. დანაოსის ასულთა ხორო.
6. „დჰამმაპადა“. ძველინდური აფორიზმები.
7. „მშვიდობა“, არისტოფანეს კომედიის ფრაგმენტი.
8. ს. აურელიოს პროპერციუსის ელეგიები.
9. საზავო ბალადა. შარლ დ ორლეანისა.
10. ვაი რამდენი გაჭირვებაა! („ლუისიადეს“ ფრაგმენტი).
11. ინგლისი დიდხანს შეშლილი იყო („რიჩარდ III“, ფრაგმენტი).
12. „ომი“, იაკობ მიხაილ რაინჰოლდ ლენცისა.
13. ჰოი, მშვენიერო დღეო. შილლერის „პიკკოლომინის“ ფრაგმენტი).

და მრავალი სხვა ნაწარმოები, უმთავრესად ევროპელი ხალხების პოეზიიდან ამოღებული.

ქვემოთ დაბეჭდილი თარგმანები ორიგინალში ურითმოა. მხოლოდ „ოდისეს“ ფრაგმენტი ვთარგმნე ჰექზამეტრით.

**კონსტანტინე გამსახურდია.**

## გამარჯვებული ამირბარი

ანონიმი. (ეგვიპტე, 2.300 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდის)

ეს ვაჟბატონი ბედნიერად შინ მიბრუნებულა,
ბედუინები რა შემუსრა შეუწყნარებლად;
ეს ვაჟბატონი ბედნიერად შინ მიბრუნებულა,
მას შემდეგ, რაც მან ციხეები დააქცევინა;
ეს ვაჟბატონი ბედნიერად შინ მიბრუნებულა,
მას შემდეგ, რაც მან ვენახები დაათხრევინა;
ეს ვაჟბატონი ბედნიერად შინ მიბრუნებულა,
მას შემდეგ, რაც მან ქოხმახები დაანგრევინა;
ეს ვაჟბატონი ბედნიერად შინ მიბრუნებულა,
მას შემდეგ, რაც მან ათას ვაჟკაცს წააჭრა თავი;
ეს ვაჟბატონი ბედნიერად შინ მიბრუნებულა,
მას შემდეგ, რაც მან ბორკილები შეასხა ხალხებს.
ამ სვესვიანმა ამირბარმა შემაქო მეცა,
ქება შემასხა დიდებულმა მხედართმთავარმა.

## დჰამმაპადა

ინდოეთი.

უკეთესია ათას სიტყვათგან
უაზრო თქმანი და გამოთქმანი,
საამოთაგან საამოთანი,
უკეთესია სიტყვა მოთანი.
საძულველია ნავსი ფლიდობა;
სიტყვა გულებს რომ მოჰგვრის მშვიდობას,
უკეთესია ათას ლექსთაგან —
სიტყვა, რომელიც არ გვაწვდის საგანს,
სიტყვა, რომელიც ღრმაზე უღრმესსა,
მშვიდობას მოგვგვრის ჩვენ უმშვიდესსა.
თუ კი პოეტი ლექსთა ათასთა
მოგვასმენინებს ჩვენ სიტყვას თარსსა
და ერთი სიტყვა მთლად ჰეშმარიტი,
გულში დარჩება ვით ნაზი გვრიტი.
გაიმარჯვებდე თუნდაც ომებში
და მოაკვდინე თვით გმირთა გმირი,
მეობას შენსას თუ კი დათრგუნავ
ეგ იქნებოდა მთლად გასაკვირი.

• • •

ანონიმი (დაწერილია დაახლოებით 4000 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდის).

ესე ამბავი მთლად შორიელი,
უცნაური და ძველთაგან ძველი,
არ იყო არსად არც მორიელი,
არ იყო არსად სისინა გველი,
არ იყო არსად ძუნძულა მგელი,
კაცთა მოდგმასაც არ ჰქონდა შიში,
არვის ესმოდა ვაი და ვიში.
არ იყო არსად ავი ფოცხვერი
და ადამიანს არ ჰყავდა მტერი,
არავინ იყო ზანტი, ზარმაცი,
როცა მეფობდნენ შუბურ, ჰარმაცი.
ისმოდა ყველგან ენა მრავალი
გასაოცარი და უცნაური,
ამ ვრცელ მიწაზე მეფობდა ური,
არავინ იყო აქ განაწყენი,
ღმერთს ადიდებდნენ ერთადერთ ენით.
ბოლოს მოვიდა თავისთავადი
თავათ მამფალი, თავათ თავადი,
მერმე დაერღვათ ხალხებს მშვიდობა;
დაუცხრომელი ვით წყალდიდობა,
მოვიდა მეფე ავი, სვიანი,
მონად აქცია ადამიანი.

• • •

ტასო სანგ (870—920 წ. წ.) ჩინეთი

ამ ველებისა და მთების სანახი
გადააქციეთ თქვენ ბრძოლის ველად,
როგორ გგონიათ უბირმა ხალხმა
მოგამარაგოთ შეშით და თივით,
გემუდარებით ნუ ჩაგვჩიჩინებთ
თქვენს წარჩინებას და თქვენ ორდენებს,
გვაკმარეთ ჩვენი წამება-ხვედრი,
რამაც ჩვენ უკვე ლანდად გვაქცია,
ერთი გენერლის ერთი აქცია,
ასი ათასი გმირის ცხედარი —
უდრის გენერლის რეპუტაციას.

## ფრაგმენტი „ოდისეადან“

ჰომერი

„დაისვენებდეთ იტაკის მკვიდრნო, ხელმოცარული ომების შემდეგ
და მეომართა დაზოგეთ სისხლი და გაეცალეთ ურთიერთს დღესვე“,
აგრე უბნობდა ღმერთქალი ათინა, წამოეძალა მას სიავგული,
მთრთოლვარე მის ხელებს გამოეცალა მყის საჭურველი.
მიწაზე განერთხვნენ ყმანი, რა შემოესმათ ღმერთქალის ხმაი,
და მიაშურეს მყისვე ქალაქებს, შემოსარჩენად სიცოცხლის ძალის;
ახლა საოცრად აზვავდა სვიანი, ყოვლისმომთმენი ოდისეუსი,
და გამოუდგა ათინას მყისვე, ვითარცა არწივი ფრთამალი.
აჰა, წარმოგზავნა ოლიმპიდან კრონიონმა ალგზნებული სვავი,
და დაეცა ათინას ფერხთით მოვარვარე ეგ საჭურველი.
ახლა ოდისეს ეტყოდა ათინა, ომისა ღმერთქალი:
„სვიანო ლაერტესის ძეო, ყოვლისა შემცნობო ოდისე,
თავს დაიოკებდე, გირჩევდი, მოეშვებოდე სისხლიან ომებს,
რომ არ განარისხო იგი და არ მოგვესმას გრუხუნი მისი“.
ამ რიგად უბნობდა ათინა და ოდისეუს დადუმდა მყისვე.





# წარმართი

## გოგი მაისურაძე

იმ დღეს თუთბერიძეები სახლსა ჰხურავდნენ, სიონის საყდრის შეიგანზე დიდოეთს საომრად გასაგზავნი მხედრიონის ალწერა და კურთხევა უნდა გამართულიყო. ბადიში თუთბერი სახურავიდან ხედავდა ორთაჭალიდან ქალაქში შემავალ მხედრიონს. დიდი და პატარა გარბოდა მათ შესახვედრად. მოქალაქეებით ივსებოდა სიონის შეიგნის მიმდებარე შუკები. ყრმას ეწადა ენახა „წარმართების დასახსნელად“ მიმავალი ქრისტიანი მხედრები.

— ვხედავ, აზრი და გონება იქითა გაქვს, — უთხრა კაცრიელმა უმცროს ვაჟს, — წადი! ვინძლო, ხიფათს არ გადაეყარო.

— ვისთან რა მაქვს საკინკლაო? — უპასუხა ყრმამ.

— ჰო, წადი, წადი!

თუთბერი მყისვე ჩავიდა დაბლა, სამოსი გაიბერტყა, ნინოს გასძახა შეიგანზე მივდივარო და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა. შუკაში გასულმა მთელი მანძილი შეიგნამდე სირბილით განვლო, ხალხის წრე გაარღვია ვაივაგლახით და წინ გავიდა.

— მაყა თარხუჯისძე. ჯავშნიანი ცხენი, ჯაჭვი და ჯავშანი. საბარკულები და სამკლაურები. ჩაფხუტი, შუბი, ხმალი, ფარი, სარტყელი. კაპარჭი ისრებით და ორი მშვილდი. არა აქვს ლახვარი და საბელი მარაგად.

მხედრები, დასადავებული ცხენებით, პირქუშად მზირალნი იდგნენ შეიგნის ცალ მხარეზე. ზოგჯერ ტაიჭი ატეხდა ჭიხვინსა და ქვაფენილზე ტორების ცემას, მაშინ მხედარი უყვავებდა — „ფშო, ფშო“ და კისერზე ხელით ეფერებოდა. მაღალმაღალი, შვეტხმლიანი მნე სათითაოდ იძახებდა თავისთან მხედრებს, ჩამოთვლიდა მხედრისა და ცხენის აღჭურვილობას, ქვაფენილზე ფეხმორთხმით მჯდარი მწერალი, რომელსაც წიგნი მუხლებზე დაედო, იწერდა მნეს ნაკარნახევს. მხედარი აღჭურვილობის მიხედვით იღებდა სარგოს მეფის სალაროდან. მხედრიონის აღწერას ტფილელი ეპისკოპოსი და მხედრიონის ასისთავი ესწრებოდნენ.

„მხნეთა მხედრობა“ ქირით მომსახურე რჩეულ ჯარს წარმოადგენდა. ისინი ათმაგად მეტ სარგოს იღებდნენ, ვიდრე ქვეითები. ამ რჩეულ ჯარში ეწერებოდნენ შეძლებული და წარჩინებული მოქალაქეები.

— სად ეჩრები, ყრმაო? — ჰკითხა თუთბერს ლოჯება კაცმა და მკლავში სწვდა.

— გამიშვი ხელი!

— დაიხიე უკან... არ გაგიშვებ, სანამ უკან არ დაიხევ.

— რას ეჩიჩინები, — თქვა დუდღუნით კაცმა, ცხვირი და ტუჩები მოჭმული რომ ჰქონდა, — წინ გაიგდე და მაგას მზირი მოუვლის.

ჯგრო-ჯგროდ მდგარ მოქალაქეთა წირ, შუკებისა და ჩიხების შესასვლელებთან, მზირები მიდი-მოდიოდნენ, ქაქანითა და ხელკეტების ცემით ხალხს უკან ახევინებდნენ.

თუთბერმა რაც ძალ-ღონე ჰქონდა, მკლავი დაიქნია და ნიდაუვი უცხვირპირო კაცს ფერდში მოახვედრა.

— მომკლა! — სული ძლივს მოითქვა მან.

— რას ერჩი მაგას? — ჰკითხა თუთბერს იმ კაცმა, მკლავი რომ გაუკავა და ავისმომასწავებლად თვალები მოჭუტა.

— რას მებღლაძუნება?

— რას გვეჩრები?

— თუ მარტოდმარტო გინდოდა ჭვრეტა, იმ მთაზე უნდა ასულიყავ, — მიუგო თუთბერმა და განზე გაიწია.

— დადექი, ყრმაო, გაგვაგონე მხედრების სახელები, — დაიძახეს აქეთ-იქიდან და ყველა ერთხმად აყაყანდა.

— ორი ნეკნი ჩამამტვრია ამ უდიერმა.

— რაო, საფასურს ხომ არ სთხოვ? — აროხროხდა ვეება კაცი.

მხედრიონი ცხენოსნობაში ქალაქგარეთ გამოეცადათ, საომრად გამგზავრების წინ ჯარი ეპისკოპოსს უნდა ეკურთხებია და დაელოცა. მან ისურვა, რომ აღწერა და კურთხევა სიონის საყდრის შეიგანზე მოქალაქეთა შესახედად ჩაეტარებინათ, რათა ერში შეექმნათ იმედიანი, საზეიმო განწყობილება.

მხედრიონის საომრად გამგზავრების ხილვა, მართლაც, იწვევდა მოქალაქეებში აღტყინებასა და აღმაფრენას. გაიძახოდნენ მხედრების სახელებს, უქებდნენ საჭურველსა და მეომრულ იერს.

— რჩეული ვაჟკაცები არიან. ამათ როგორ დაუდგებიან წინ ბიწიერი წარმართნი, — ყურში ჩასძახა თუთბერს ჩია კაცმა.

— ქრისტე ღმერთის ცხოველმყოფელი ნათელი გაფანტავს უმეცრების უკუნს, კეთილი სძლევს ბოროტს! — ქვითინით ამბობდა ვიღაც.

— კეთილი სძლევს ბოროტს, ნათელი — უკუნს. სათნოება მოყვასური გაიმარჯვებს, — გაიძახოდა ჩია კაცი.

თუთბერმა ხელის ნები პირისახეში ჰკრა.

— გაიწი იქით.

— არ გეთნობა ღმერთის სადიდებელი ჩემი სიტყვები?

— არა ვარ შენი ლაყბობის გუნებაზე. ხმა ჩაიკმინდე.

— რათ მიკრძალავ ვადიდო ღმერთი?

— ხმა ჩაიკმინდე... გაგიყვან შეიგანს მიღმა დამაგრად დაგზილავ.

— ყვარყვარე ქუმსიძე! — დაიძახა მნემ.

— მეტსახელად ყვარყვარე კუპრი, — გაისმა აქეთ-იქიდან — შეხეთ, შეხეთ, რა ვაჟკაცია!

თუთბერმა აღარ დაუცადა მხედრიონის კურთხევას. დატოვა შეიგანი გაწბილებულმა და ხელოსანთა რიგების შემოვლით შინისაკენ გასწია.

* * *

ყრმა არ იზიარებდა მოქალაქეთა ზრახვებს, აღტაცებული არ დარჩენილა მხედრიონის ხილვით, ქრისტე ღმერთის სადიდებლად მახვილშემართულნი რომ მიდიოდნენ დიდოელ მთიულთა დასაპყრობად, ლაღი წარმართული სარწმუნოების შესამუსრად; მისი წაკინკლავება ჩია კაცთან ახირება კი არ იყო თავგასული ყმაწვილის, არამედ გამოვლინება მისი მრწამსის. უკეთ, მან თავი ვერ შეიკავა, რომ არ გამოელანძღა ატაცებული მოქალაქე, რომელიც უდიერად ყურში ჩაძახოდა ღვთის სადიდებელ სიტყვებს. ყრმა გრძნობდა სინანულს და აკვირვებდა, თუ ასეთი რა ძალა შესწევდა „მეზღაპრეთა ღმერთს“ (ასე უწოდებდა ქრისტეს); მას მიაჩნდა, რომ მთიულთა გაქრისტიანება, ძალდატანებით აღიარება „ჭეშმარიტი ღმერთისა,“ ხსნა კი არ იქნებოდა საუკუნოებრივი სიბნელისა და უმეცრებისაგან, როგორც ამას სამღვდელოება ქადაგებდა და როგორც სჯეროდა თვით ერსაც, არამედ დამონება საზოგადოებრივი და სარწმუნოებრივი: თვითმპყრობელი ქრისტე ღმერთი სპობდა კერპთაყვანისმცემლობას, რომლის მეუფების დროსაც კაცნი უფრო თავისუფალნი და ლაღნი იყვნენ ღვთაებათა წინაშე, ვისაც უნდოდათ, იმას მეტად ეთაყვანებოდნენ. ქრისტე კი ერთადერთი მეუფე იყო და ეს მეუფე უცხო ღვთაებებს „ცრუ ღმერთებად“ მიიჩნევდა, არ ცნობდა და უარყოფდა მათ, მაშინ, როდესაც კერპთაყვანისმცემელნი უცხო ღმერთებს რიდითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ. ყრმას ეს ღმერთი მზაკვრად და პატივმოყვარედ ესახებოდა, რომელსაც გარს მისი წესის აღმსრულებელი პირმოთნე და თვალთმაქცი კაცნი ეხვივნენ. ქრისტე, როგორც კანონმდებელი, ისე იჭრებოდა ადამიანის ყოფა-ცხოვრების ყველა კუნჭულში, მისი არსებობის ყველა მხარეში, ამიტომ თუთბერი ქრისტიანეთა შორის თუნდაც პატარა უწესივრობასაც ნიშნის მოგებით მათსავე ღმერთს აბრალებდა. ქრისტიანი მორწმუნე წინასწარ დადგენილი წესების დაცვით აღწევდა ღმერთის ცნობას მაშინ, როდესაც წარმართი ღვთაებების ძალა ლაღად ენიჭებოდა მორწმუნეებს; თუთბერს მიაჩნდა, რომ ქრისტიანები თხზავდნენ იმას, რაც ისე შორს იყო სინამდვილიდან, ვით ცა დედამიწიდან. ყრმას სწამდა, რომ ქვეყანამ უღალატა მამა-პაპათა სარწმუნოებას და თაყვანსა სცემდა უცხო ღმერთს. ქართლში მცირე რაოდენობით მოიპოვებოდნენ მონები. ისინი მეფესა ჰყავდა მაღაროებში და სარეწებში სამუშაოდ და ერისთავებს მცირე

* ვაქვეყნებთ ერთ თავს გოგი მაისურაძის ისტორიული რომანიდან „კაცრიელ თუთბერიძის სახლეულნი“. ავტორი გვიხატავს ვახტანგ გორგასალის ეპოქას, ახლად დაარსებული თბილისის ცხოვრების სურათებს, ბრძოლას, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდებოდა წარმართობასა და ქრისტიანობას შორის.

ხუგა ბერულავა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## დამდევდა შენი ეჭვის შრიალი

შენ დადიოდი მოსილი კდემით
და ყველაფერი გიყვარდა ჩემი.

თვითონვე შექმენ ლამაზი მითი,
რომელიც მერე აქციე ხატად,
სანთლად აუნთე ოცნება მშვიდი
თუ სიყვარულის უსიტყვო ნატვრა.

ბარტყივით თვალში მიცქერდი მუდამ,
ულევად ერთგული, ნაზი და წმიდა.
ვიტყოდი კარგად, ვიტყოდი ცუდად, —
თითქოს გალობა გესმოდა ციდან.

ყველა ლამაზი და ეშხიანი
იყო მოქიშპე შენი მალული, —
დამდევდა შენი ეჭვის შრიალი,
ვით ბედისწერა და სინანული...

შენ დადიოდი მოსილი კდემით
და ყველაფერი გიყვარდა ჩემი!

## ეს გაუმარჯოს

არ დაგიგმანავს ჩემი ჭიშკარი
და მიიჩქარი... სად მიიჩქარი?

— საით მიდიხარ! — ავზღავლდე ლამის,
როგორც ბღაოდა ხევსურთა გმირი.
შენს სადღეგრძელოს ვსვამ ლუდის ჯამით
და ისევ მლაშე ცრემლებით ვტირი:

— ეს გაუმარჯოს იმ წლებს თუ წამებს,
გულში რომ დარჩა როგორც თქმულება.
და ტკივილს, ტკივილს. ტკივილს უმწარესს,
რომლის მალამო არც მეგულება.

ეს გაუმარჯოს უსიტყვო ტრფიალს,
უნაზეს თრთოლვას და უძილობას.
მერე შემთხვევით გასროლილ ტყვიას
და მოურჩენელ ღია ჭრილობას.

...შენ ისე წახველ და მიიჩქარი,
რომ ღია დაგრჩა ჩემი ჭიშკარი.

## შენი სიჩუმე როდესაც ვიგრძენ

ახლა მჭირდება ნამდვილი სიბრძნე,
და უსასრულოდ გაშლილი სივრცე;

ახლა მჭირდება მე შთაგონება
უფრო მაღალი, უფრო ძლიერი,
ვიდრე ეს დარდი, ეს დაღონება
და შეძახილი გულისხმიერი.

დღემდე სხვა იყო, — ცოტა ჰყოფნიდა
შენს გახელებას და გაბრუებას...
არ გავიქცევი წუთისოფლიდან,
მე მხოლოდ ვეძებ წამალს უებარს.

რომ დამავიწყოს რა არის დაღლა,
უდარდელობა და მშვიდი ძილი,
მკერდზე მასხუროს არაგვის ტალღა,
წამართვას ჩემი განცხრომის წილი...

შენი სიჩუმე როდესაც ვიგრძენ,
დამჭირდა, მაგრამ სადღაა სიბრძნე!

## ეს შენ არა ხარ...

გაოცებული გიცქერ ხანდახან:
— ნეტავ, ეს შენ ხარ თუ შენ არა ხარ?
უჩემოდ წყალი ვერ დაგელია
და კანკალებდი ვითარცა ვერხვი,
როცა ანაზდად ზეცას ელვიანს
ჩემს შორს ყოფნაში გაჰკრავდა მეხი!

განა რა იყო ეს გაღმერთება,
თუკი შეგეძლო აგრე დათმობა?
პატარა გულში როგორ ეტევა
სიყვარული და უკუღმართობა?

მიდიხარ ოდნავ თავაწეული
და ცივი, როგორც ბედი მსახვრალი.
მინდა ვიყვირო: — იყავ წყეული!
მე გეუბნები მაინც: — ნახვამდის...

დაღონებული ვფიქრობ ხანდახან:
— ქალო, ეს შენ ხარ თუ შენ არა ხარ?

---

რაოდენობით. მხევლებს ხელოსნებიც იჩენდნენ შინამოსამსახურეებად. სარეწებში მძიმე შრომით დაუძლურებულ მონებს, ვინც ქრისტიანობას მიიღებდა, აქცევდნენ ყმებად. თუ მონისათვის ყმად ქცევა მათი ცხოვრების გაუმჯობესებას მოასწავებდა, თავისუფალ მიწათმოქმედთა და მეომართა დაყმევება იგივე დამონებას უდრიდა. ამრიგად. თუთბერი ხვდებოდა, რომ თუ უცხოელ ტყვეთათვის ამ საზოგადოებრივ გარდაქმნას სიკეთე მოჰქონდა, ქვეყნის მკვიდრ ჰეროვანთათვის, პირიქით, საზიანოც იყო.

ქრისტიანულ სარწმუნოებასა და ქვეყნის ცხოვრების წინააღმდეგობებში ყრმას მათმა მცხეთელმა მეზობელმა ლარგველიმ ჩაახედა. მან ასწავლა წერა-კითხვა. ლარგველის ჯალა მეცნიერის მიერ მცხეთაში დაარსებული სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ერთხანს იქვე მოღვაწეობდა, სანამ ნიქოზის სამღვდელო სასწავლებელში მიიწვევდნენ მჭევრმეტყველების მასწავლებლად. წარმართობისადმი თნობა და სიყვარული ბავშვობაში პაპასაგან ჩაენერგა, რომელიც ხშირად დადიოდა მთიულეთში სამუშაოდ, მოუთხრობდა ერწოელ და ფხოველ გვარნათესავთა ცხოვრების ამბებს, მათ ზნე-ჩვეულებებს. მათ ჰქონდათ სამლოცველო ჭორტები და კერპები, ქრისტიანულ საყდრებში კი თითქოსდა ხარკის მოსახდელად დადიოდნენ. მოხუცი თუთბერი მრწამსით ქრისტიანი იყო, მხოლოდ ნაკლებად ღმრთისმოშიში. პატივსა სცემდა სხვების რწმენას, არ ავლენდა ქრისტიანულ ზიზღს კერპებისადმი. თავისდა შეუმჩნევლად შეეთვისებია და გაეზიარებია მთიულთა ჩვეულებები. მას ეთნობოდა მთიულთა დაუთრგუნავი, ლაღი ბუნება. ყმაწვილკაცობაში განაცადი წარმართთა ცხოვრების გავლენით ქცეულიყო მოწარმართე ქრისტიანად. თვით კი თავისთავს ეჭვმიუტანლად ქრისტიანს უწოდებდა, ხოლო ქრისტიანული მრწამსით დიდად არ განსხვავდებოდა რომელიმე ფხოველისა ან ერწოელისაგან.

თუთბერიძეებს შემონახული ჰქონდათ თქმულება წინაპარ მოქანდაკეზე, რომელიც მცხეთიდან გაქცეოდა ნათლისღებას და კამბეჩოვანს მოეკლათ მირიან მეფის ჯარისკაცებს. ბერიკაცს ამის შესახებ უთქვამს „ჰპოვა სიკვდილი ზვარაკისა ბიწიერ კერპების საფერხნოზე".

ბადიში თუთბერი ბავშვობაში თანატოლებთან მართავდა სახიობას — მოქანდაკის ტყვეობისა და განგმირვის ამბავს. იგი ყოველთვის თავის წარმართ წინაპარს ასახიერებდა. უთანასწორო ბრძოლაში ძლეულს ჭერხოებს შორის ატყვევებენ მირიან მეფის ჯარისკაცები და ცემით, მახვილის ძგერებით მიჰყავთ გეთსიმანიის საყდრისაკენ. აჰა, იგი დააგდეს პატარა ჯარისკაცებმა საყდრის ხარისხედზე და უჩიჩინებდნენ: „— ზინზლიანო წარმართო, იწამე ქრისტე ღმერთი!" — უმოწყალოდ გვემდნენ — „იცან ჭეშმარიტი ღმერთი ქრისტე, მაცხოვარი ჩვენი!" უეცრად პატარა ჯარისკაცები გაიქცნენ. თუთბერმა თავი წამოსწია. მღვდელი განცვიფრებული დასცქეროდა. „—არა, არასოდეს არ ვიწამებ შენს ღმერთს!" — მიახალა ეს სიტყვები და თვითონაც გაიქცა. მღვდელმა მას წყევლა-კრულვა დაადევნა.

თუთბერიძეებმა მოზვერი შეწირეს გეთსიმანიის საყდარს. მღვდელმა წირვაზე იქადაგა ცდომილებაზე, წარმართული ღდინის აღმოფხვრაზე, ბავშვების უდიერ სახიობა-გართობაზე და ბოლოს დასძინა, რომ ვარძიმ მოქანდაკე ძერწავდა კერპებს, მაგრამ ერთ დღეს იხილა ნათელი და წარმართებმა აწამეს, ვით ჭეშმარიტი ქრისტიანი. ამბავზე პაპა თუთბერმა თქვა:

— ჩვენი წინაპარი მოქანდაკე სიკვდილამდე დარჩა წარმართად. იგი კამბეჩოვანს ებრძოდა ქრისტიანებს, მასუკან, რაც მცხეთიდან გაექცა ნათლისღებას. მის შთამომავლებს ცოდვად გვაწვა წინაპრის ცთომილება. თუ გეთსიმანიის მღვდელს სურს ქრისტიანად შერაცხოს... დაე, ასე იყოს. ჩვენ ჩვენი მხრით შევწირეთ მსხვერპლი საყდარს და ერთობლივ მოვინანიეთ წინაპრის ცოდვა მომაკვდინებელი.

მაგრამ პატარა თუთბერს არ ეთმობოდა გეთსიმანიის მღვდლისათვის მოქანდაკე წინაპარი. თვითონ იმ მღვდლის მონათლული იყო და რაუდენ მოწამის სახელი დაერქმია. თუთბერს არ მოსწონდა ქრისტიანი მოწამის სახელი და თავისთავს იდუმალად არმაზელს ეძახდა, ქართლის ერთ-ერთი მეფის სახელს, რომელიც წარმართული უზენაესი ღვთაების სახელიდან იყო წარმომდგარი. რაუდენი იყო სპარსელი, ვახტანგ გორგასალის მეუღლის აღმზრდელი, რომელიც სპარსელებმა აწამეს მაზდეანური სარწმუნოების დაგმობისა და გაქრისტიანებისათვის. მასუკან ქართლის ეკლესიამ რაუდენი წმინდანად შერაცხა.

ერთხელ პატარა თუთბერმა განაცხადა, რომ მას არ ეთნობოდა გეთსიმანიის მღვდლის დარქმეული სახელი.

— დაე, ამ თავნება ყრმას ერქვას ჩემი სახელი. მართლაცდა, პატივსა ვცემ წამებულის ხსოვნას, მაგრამ... რაუდენ ნეტარს ამით არაფერი არ დააკლდება, — თქვა პაპა თუთბერმა.

— ხომ არ გამოვნათლავთ?

— იყოს ეს ყრმა ჩემი სახელის მოზიარე. კაცრიელ, შენს შვილთაგან ერთ-ერთს ხომ უნდა რქმეოდა ჩემი სახელი? არც ერთს, არც შენა და არც მე, არ გვქვია ქრისტიანული სახელები, მაგრამ განა არა ვართ ქრისტიანები?

— საეკლესიო წიგნში ხომ დარჩება ნათლობის სახელი?

— დარჩეს, არც აღმოვფხვრით. სახლში თუთბერი დავუძახოთ.



წურბლების გამყიდველი. 1920 წ.

# დავით კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდად საინტერესოა მხატვრის ბიოგრაფიაც. საქართველო, რუსეთი, ევროპა... უბრალო მებორნის შვილმა ქვეყანა მოიარა. ქვეყანა ნახა და ქვეყანას უთხრა სიტყვა საკუთარი, ერთადერთი და განუმეორებელი. მხატვრის მთელი ცხოვრება — ეს იყო თავდადება ეროვნული საქმისათვის.

ქართული მხატვრობის ისტორიაში კაკაბაძემ პირველმა წამოჭრა არა მხოლოდ შემოქმედებით-ფორმალური ამოცანები. არამედ საწყისიც მისცა და გადაჭრა კიდევაც საპორტრეტო ჟანრის კომპოზიციისა და მოდელის სულიერი სამყაროს ფერწერის საშუალებებით გადმოცემის საკითხები, საკითხები თემის სურათოვნულ-კომპოზიციური გააზრებისა. მან შექმნა პორტრეტ-სურათი. რითაც დაუპირისპირდა მანამდე გაბატონებულ ეტიუდირობის პრინციპს. კაკაბაძემ თავისი პორტრეტებით შექმნა არა მხოლოდ ქართული ფერწერის უჭკნობი ნიმუშები არამედ ახალი სიტყვაც თქვა მსოფლიო მხატვრობაში.

დ. კაკაბაძე ეკუთვნის იმ მხატვართა წრეს, რომლებიც თავის შემოქმედებას საფუძვლად უდებენ სინამდვილის ღრმა შესწავლასა და მის პოეტურ წარმოსახვას.

დავით კაკაბაძის სურათებში მოცემულია ქართული პეიზაჟის „სულის“, მხატვრული გაგებისა და გამოსახვის ახალ-ახალი ასპექტები.

დავით კაკაბაძის აზრი და საქმე, მისი თავდადება, მისი ბრძოლა დიდი ეროვნული რეალისტური მხატვრობისათვის ყოველთვის დარჩება დიდ მაგალითად არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ხელოვნების ისტორიისათვისაც.

**შალვა კვასხვაძე**

ბანანების გამყიდველი. 1920 წ.



იმ ადამიანთა შორის, ვისაც ერთგვარი წარმოდგენა აქვს ქართულ ხელოვნებაზე, იშვიათად მოიძებნება კაცი, რომელიც პირველი შეხედვისთანავე ვერ იცნობს დავით კაკაბაძის სურათ-პეიზაჟებს.

მატარებელსა, ავტობუსსა თუ თვითმფრინავში მე ხშირად მსმენია, როგორ ადარებენ ურთიერთშორის ხილულ ბუნებასა და კაკაბაძის პეიზაჟებს... იგი განუმეორებელი და უბადლოა. ყველა იმ თვისებასთან ერთად, რაც მას ანათესავებს საერთოდ აღებულ საპეიზაჟო ჟანრთან, ამ მხატვრის ქმნილება ისეთ რამესაც შეიცავს, რაც მხოლოდ ქართულია და კაკაბაძისეული

დავით კაკაბაძის შემოქმედების მაგალითზე ყველას შეუძლია დაინახოს და ისწავლოს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ეროვნული მხატვრობის შემუშავებისთვის არა მხოლოდ მხატვრული აზროვნების ტრადიციებს, არამედ მხატვრული აზროვნების ინდივიდუალიზირებულ კილოსაც და საერთოდ გამოსახვის საშუალებათა მაღალ პროფესიულ დაუფლებას.

დავით კაკაბაძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღიდანვე თანმიმდევრულად და პოზიციურად იბრძოდა ახალი ხელოვნების პრობლემათა გადასაწყვეტად; იგი ამ მხრივ არა მხოლოდ ქართული მხატვრობის დიდი ოსტატია, არამედ, საერთოდ, ახალი ფერწერის პრობლემატიკის ერთ-ერთი ფუძემდებელიც

დ. კაკაბაძის შემოქმედებისათვის, ქართული მიწა-წყლის ბუნებრივ სურათოვნებასთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ კონცეფციასაც ენიჭება. რაც ამ დროისათვის უკვე შემუშავებული იყო ქართულ პწერლობაში; მიუხედავად ამისა, მხატვარი ბოლომდე რჩება სახვითობის პოზიციებზე და გულდაგულ იბრძვის მხატვრობაში „ლიტერატურულობის“ წინააღმდეგ. ამიტომაც არის მისი სურათები ესოდენ საინტერესო. მხატვრის სურათები საოცრად პოლიფონიურია და ამ პოლიფონიურობის ფესვები ჩვენი სინამდვილისა და იმ დიდებულ კულტურისაგან მოდის, რასაც ქართული მწერლობა და ქართული სახვითი კულტურა იძლევა.

# დავით კაკაბაძე



ავტოპორტრეტი. 1913 წ.



ბრეტანი. 1920 წ.



თბილისი. 1947 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრეტანი. 1920 წ.



სვანეთი. 1939 წ.

პარიზი. 1920 წ.






კოჯორი. 1947 წ.

დეკორატიული მოტივი. პარიზი. 1927 წ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



პარიზი. 1920 წ.



პარიზი. 1920 წ.

პარიზი. 1920 წ.



# დავით კაკაბაძე

პარიზი. 1920 წ.



# სასწაული თუ ილუზია

კაპიტალისტურ სამყაროში „სასწაული“ მეტად მოდური სიტყვა გახდა. ისტორიის მიერ განწირული სისტემა, დროდადრო, თავისი თავის გამხნევებას ლამობს და მორიგი „სასწაულის“ გამოგონებით წარმტაცი მომავლის ილუზიებს ქმნის. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ერთი აურზაური იყო ატეხილი დასავლეთგერმანული „ეკონომიური სასწაულის“ ირგვლივ. მაგრამ ყოველგვარ „სასწაულს“ სულ მალე ბოლოს უღებს პირქუში სინამდვილე. მალე შეწყდა ლაპარაკი დასავლეთგერმანულ „სასწაულზეც“, რადგან იგი უღონო გამოდგა დაეძლია კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობები, რომლებსაც ადამიანებისათვის კრიზისები, სიდუხჭირე და უბედურება მოაქვთ.

მაგრამ, როგორც ჩანს, კაპიტალიზმს „სასწაულების“ გარეშე უკვე აღარ შეუძლია არსებობა. და აი, დასავლეთგერმანული ილუზია აღორძინებაზე მორიგმა, იაპონურმა „ეკონომიურმა სასწაულმა“ შეცვალა.

„ამჟამად არსებობს ორი მსოფლიო სახელმწიფო, მაგრამ, ჩემი აზრით, მესამესთვისაც მოიძებნება საკმაო ადგილი“,—განაცხადა ამას წინათ იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ეისაკუ სატომ. „მესამე მსოფლიო სახელმწიფო იაპონიაა“, — გამოიცნო სატოს ეს გადაკრული ნათქვამი დასავლეთგერმანულმა ჟურნალმა „შპიგელმა“, რომელმაც უცხოეთის სხვა გაზეთების და ჟურნალების მსგავსად, ვრცელი წერილები უძღვნა იაპონიის ეკონომიური განვითარების საკითხს და ამით, ნებით თუ უნებლიეთ, გულამოსკვნით გამოიტირა საპნის ბუშტივით გამქრალი მითი თავისი ქვეყნის ზღაპრული აყვავების შესახებ.

„აზიური კუნძულების იმპერია გადაიქცა მსოფლიოს მესამე ქვეყნად თავისი სამრეწველო წარმოების მოცულობით, საგრძნობლად შეავიწროვა რა გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკა“, — მოთქვამს „შპიგელი“.

რაც მართალია, მართალია! კაპიტალისტურ სამყაროში, ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, ამჟამად, მართლაც იაპონია უნდა ჩაითვალოს მეორე სახელმწიფოდ თავისი ეკონომიური განვითარების დონის მიხედვით.

ქვეყანა, რომელიც თავისი ფართობით საფრანგეთზე პატარაა და რომლის ტერიტორიიდან ვარგისი და გამოსადეგია მხოლოდ 32 პროცენტი, ქვეყანა, რომელსაც აზანზარებს 54 მოქმედი ვულკანი და არყევს წელიწადში 7 ათასი მიწისძვრა, ქვეყანა, რომელმაც დამარცხება განიცადა მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე, კვლავ აცხადებს პრეტენზიას იყოს ერთი პირველთაგანი მსოფლიოს ბაზრებისათვის ბრძოლის ასპარეზზე.

ამჟამად იაპონია გემების ყველაზე დიდი მწარმოებელია. მას მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს ავტომობილების, ელექტრულ-გამომთვლელი მანქანების, ტელევიზორების, ცემენტის, რეზინის და პლასტიკური მასების წარმოების დარგში, იგი მესამე ადგილზეა ფოლადის წარმოების მოცულობით. ამასთან მას პრაქტიკულად არ გააჩნია ნედლეული — არა აქვს არც რკინის მადანი, არც ნავთობი, არც ბოქსიტები და არც მატყლი. და მიუხედავად ამისა, იაპონური მრეწველობა უფრო თანამედროვეა, ვიდრე მისი კონკურენტების მრეწველობა — იაპონური მანქანების 77 პროცენტი აგებულია უკანასკნელ 6 წელიწადზე ნაკლებ დროში.

იაპონელები აგებენ მსოფლიოში ყველაზე დიდ გემებსა და ყველაზე პატარა ტრანზისტორულ რადიომიმღებებს, ყველაზე სწრაფმავალ მატარებლებს და ყველაზე დიდ ქალაქებს. ტოკიოდან 56 კილომეტრზე იაპონიის მთავრობა აშენებს სამეცნიერო ცენტრს (მისი მშენებლობა 6 მილიარდი დასავლეთგერმანული მარკა დაჯდება), სადაც 1975 წელს თავიანთი ოჯახებით იცხოვრებს და იმუშავებს 160 ათასი მკვლევარი, ტექნიკოსი-სპეციალისტი და დამხმარე მუშაკი. ამ მოაზროვნეთა ქალაქში, როგორც ჟურნალი „შპიგელი“ აცხადებს, იაპონია შეიმუშავებს ხვალინდელი დღის მსოფლიოს მეცნიერული დაპყრობის გეგმებს.

ამჟამად მარტო საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ამზადებენ შედარებით მეტი რაოდენობის მეცნიერებსა და ინჟინრებს, ვიდრე იაპონია. მარტო საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები უსწრებენ ამ კუნძულების იმპერიას თანამედროვე ფიზიკის — ჩვენი საუკუნის ამ საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო საფუძვლის განვითარების თვალსაზრისით.

იაპონია საერთაშორისო ბაზარზე თავის საქონელს ჰყიდის 10-20 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე მისი ამერიკელი და გერმანელი კონკურენტები. მაგალითად, ფერადი და შავ-თეთრი სატელევიზიო გადაცემების ჩამწერი პირველი ამერიკული აპარატი ღირდა 200 ათასი მარკა, იაპონელების მიერ შექმნილი იგივე აპარატი კი ასჯერ ნაკლები — 2 ათასი მარკა.

ფასების ასეთი განსხვავების ერთ-ერთი მიზეზი არის იაპონურ მსხვილ და წვრილ საწარმოთა შორის არსებული განსხვავება. იაპონური მსხვილი საწარმოები ტექნიკური პროგრესის ჭეშმარიტი მატარებლები არიან, წვრილი საწარმოები კი მათი მონებია (იაპონიის ყველა საწარმოს 99 პროცენტს თითოს 300-ზე ნაკლები მუშა და მოხამსახურე ჰყავს). ათეული წლების მანძილზე ეს წვრილი მწარმოებლები ასრულებენ ყველაზე მძიმე სამუშაოებს, რაშიც იღებენ წარმოუდგენლად მცირე გასამრჯელოს. მათი მეოხებითაა, რომ იაპონიას ხშირად შეუძლია გადმოისროლოს მსოფლიოს ბაზარზე ისეთი იაფი საქონელი, რომელსაც ვერავინ უწევს კონკურენციას.

გარდა ამისა, ეს მინი-საწარმოები წარმოადგენენ მსხვილი მონოპოლიების ამორტიზატორებსაც, ვინაიდან კრიზისების პერიოდში პირველ რიგში ისინი გაკოტრდებიან ხოლმე. ეს კი ყველაფერი ხალხის ზურგზე გადადის. ჟურნალ „შპიგელის“ მონაცემების მიხედვით, იაპონიაში სამი მილიონი კაცი „შემაძრწუნებელ გაჭირვებაში ღაფავს სულს“.

კაპიტალისტურ მსოფლიოში მეორე ადგილზე რომ იმყოფება თავისი სამრეწველო წარმოების მოცულობით, იაპონიას უჭირავს მხოლოდ მე-20 ადგილი, ეროვნული შემოსავლით მოსახლეობის თვითეულ სულზე. „საშინელი სისტემაა“, — შენიშნავს ინგლისური ჟურნალი „ეკონომისტი“. საქმეც ისაა, რომ ამ „საშინელ სისტემას“ არ ეთანხმება მილიონობით იაპონელი მუშა, გლეხი და მოსამსახურე. „ეკონომიური სასწაული“ მათ ზურგს აქცევს, ასე რომ, კლასობრივი კონფლიქტების მიხედვით იაპონიას შეიძლება მივაკუთვნოთ მეორე კი არა, პირველი ადგილი კაპიტალისტურ სამყაროში.

ამ კონფლიქტებს კიდევ უფრო აღრმავებს ქვეყნის აშკარად მზარდი მილიტარიზაცია, რადგან, როგორც ყოველგვარი „სასწაული“, მისი იაპონური ვარიანტიც ჰქმნის მრავალ სახიფათო ილუზიას. მოკლედ რომ ვთქვათ, როგორც უღბლო დასავლეთგერმანულ „სასწაულის“ დროს, საქმე აქაც რევანშიზმის აღორძინებისაკენ მიდის. სწორედ ეს სულისკვეთება გამოხატა ერთ-ერთმა ტოკიოელმა მილიონერმა, როცა წარმოთქვა პირდაპირ სამურაების სულით განმსჭვალული სიტყვები: „ინდონეზია შეიძლება ჩვენთვის გამხდარიყო იგივე, რაც მანჯურია იყო“.

იაპონიის მმართველი წრეები, რომლებიც სულ უფრო დაჟინებით ცდილობენ თავიანთი ქვეყნის პოლიტიკური როლის გაზრდას მისი ეკონომიკის შესაბამისად, ყოველ ღონეს ხმარობენ სამხედრო ხარჯების გადიდებისა და დამოუკიდებელი შეიარაღებული ძალების შექმნისათვის.

„ოფიციალური ცნობებით, — შენიშნავს ტოკიოს ჟურნალი „ორიენტალ ეკონომისტი“, — იაპონიის სამხედრო ბიუჯეტი გაცილებით მცირეა ინგლისის, დასავლეთ გერმანიისა, საფრანგეთის ან იტალიის სამხედრო ბიუჯეტებთან შედარებით“. მაგრამ სინამდვილეში საქმე ასე როდია. მარტო 1967-71 საფინანსო წლებში სამხედრო მიზნებისათვის გამოყოფილი ხარჯები აღწევენ უზარმაზარ თანხას — 2.340 მილიარდ იენს (1000 იენი უდრის 2,51 მანეთს). 1972-76 საფინანსო წლებში ეს თანხა 5000 მილიარდ იენამდე გაიზრდება, შემდეგ კი 8000 მილიარდ იენსაც გადააჭარბებს.

„იაპონიის საქმიანი წრეების ხელმძღვანელები,— განმარტავს ხსენებული ჟურნალი, — არავითარ შემთხვევაში გვერდს არ აუვლიან იაპონიის სამხედრო პოტენციალის გადიდების აუცილებლობას. მათ კარგად ესმით, რომ ბოლოს და ბოლოს საჭირო გახდება ჩვენი საზღვაო გზების დაცვა, აგრეთვე უცხოეთში არსებული ჩვენი აქტივების დაცვა. ჩვენი ბიზნესმენები იმასაც აცხადებენ, რომ თუ სამხრეთ კორეაში შეიქმნა ისეთი არაკეთილსასურველი მდგომარეობა, რაც დაემუქრება იაპონიის უფლებებს ამ რაიონში, მაშინ იაპონია თავს არ შეიკავებს და ძალის გამოყენებაზე უარს არ იტყვის“.

მეტისმეტად ნაცნობი სიტყვებია. სწორედ ამასვე გაიძახოდნენ სამურაები, როცა ლაპარაკობდნენ თავიანთი საზღვაო გზების დაცვის აუცილებლობაზე, როცა თავს ესხმოდნენ პირლ-ჰარბორს, ჩინეთსა და ფილიპინებს. სწორედ ასევე გაჰყვიროდნენ თავიანთი საზღვრების უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობაზე მათი დასავლეთელი პარტნიორები — ჰიტლერელი ვაჟბატონებიც, როცა მუსრს ავლებდნენ და ცეცხლს აძლევდნენ ევროპის მილიონობით ადამიანს და მათ მიწა-წყალს. რით დამთავრდა მათი ასეთი მისწრაფებანი, ახლა ყველასათვის ნათელია.

ხალხებს კარგად ახსოვთ წარსული ომის საშინელება, განსაკუთრებით კარგად ახსოვს თვით იაპონელ ხალხს, რომელმაც მთელი სიმწარით განიცადა ატომური თავდასხმით გამოწვეული უბედურება. იაპონელ ხალხს არ სურს ომი, რომელმაც ასეულ ათასობით სიცოცხლე შეიწირა და რომლისთვისაც მზადება კვლავინდებურად სულ უფრო მძიმე ტვირთად აწვება მას მხრებზე. იგი კარგად ხედავს, რომ „სასწაულს“ დამპალი და ჭიანი გული აქვს და სულ უფრო შეურიგებლად იმაღლებს ხმას მთავრობისა და მის უკან მდგომი ფინანსური მაგნატების დამღუპველი პოლიტიკის წინააღმდეგ. ათეულ და ასეულ ათასობით მუშა, გლეხი, ინტელიგენტი მტკიცედ მოითხოვს ახალი ომის თავიდან აცილებას, მათ მიწაზე მოკალათებული ამერიკელი „მოკავშირეების“ ალაგმვას, მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარულ ქვეყანასთან მეგობრულ ურთიერთობას, ატომური იარაღის აკრძალვას და მშვიდობის და ურთიერთნდობის განმტკიცებას. ეს მსოფლიოს ყველა კეთილი ადამიანის მოთხოვნაცაა და ვერავითარი „სასწაული“ ვერ შეასხამს ხორცს იმას, რაც ეწინააღმდეგება მრავალი მილიონობით ადამიანის ურყევ მისწრაფებასა და რწმენას.

**ა. ამირანიძე**

# მარჯორი უორდროპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### დაბადებიდან 100 წლისთავის გამო

1896 წელს ილია ჭავჭავაძე ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს ივანე როსტომაშვილს სწერდა:

„ძმაო ვანო, ვამგზავრებ კახეთს სასიქადულო მეგობრებს და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპებს შენთან და აბა შენ იცი, როგორ შენებურად დაათვალიერებინებ და გააცნობ ჩვენს მშვენიერ კახეთის ძველ ისტორიულ ნაშთებს, ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებას“.

ივ. როსტომაშვილის სახლი თელავში იმ დროის მოწინავე ინტელიგენციის საკრებულო იყო. მის სტუმართმოყვარე ოჯახში სტუმრად ყოფილან აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ვასილ ბარნოვი, ლადო მესხიშვილი და სხვები.

მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა ჯერ კიდევ ადრე, 1894 წელს დიდი ინტერესით დაათვალიერეს დასავლეთი საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილები: ბათუმი, ქუთაისი, ოზურგეთი, ჯუმათი და სხვა. ახლა კი ჯერი კახეთზე იყო, აქაც საკადრისი მასპინძლობა უნდა გაეწიათ სტუმრებისათვის.

უორდროპებმა, გულკეთილ მასპინძლებთან ერთად, დაათვალიერეს თელავში ერეკლე მეფისეული ციხე-დარბაზები, ინახულეს გრემის მონასტერი, შუამთის შემოგარენი, ნეკრესის ტაძარი, იყალთოს აკადემიის ნანგრევები. შემდეგ მასპინძლებმა ინგლისელები ალავერდის დიდებულ ტაძარში წაიყვანეს. ერთმა იქაურმა ხანდაზმულმა ბერმა კარგად დაათვალიერებინა ყველაფერი. ბერი გაოცებული იყო იმით, რომ უცხოელ ქალს ქართული ტანსაცმლით შემოსილს ხედავდა. თეთრკაბა-ქათიბში გამოწყობილი, თავდახურული მარჯორი მის წინ მოკრძალებით იდგა. ბერმა როსტომაშვილებისა და მისი სტუმრების თვალწინ ტაძრის საიდუმლო ხაზინა გახსნა და მაყურებლების თვალი დაატყვევა ძვირფასეულობამ: ელვარებდნენ ზურმუხტი და ლალი, გიშერი და საფირონი, ბროლ-ბადახში, ურიცხვი თვალმარგალიტი...

ივანეს მეუღლემ ელისაბედ როსტომაშვილმა მარჯორი რამდენიმე წუთს შეაჩერა სამშობლოსათვის წამებული ქეთევან დედოფლის საფლავთან და მოკლედ უამბო მისი ცხოვრები შესახებ.

ელისაბედ როსტომაშვილი იგონებდა:

„ისე შეგვეჩვია მარჯორი, გვერდიდან აღარ მშორდებოდა, სამზარეულოში მეხმარებოდა... მან სიხარულით მონათლა ჩემი პატარა გოგონა და ამით უფრო მიმზიდველი გახდა ჩვენი მეგობრობა...“

ელისაბედმა მარჯორის ქართული ცეკვაც შეასწავლა, რითაც დიდად გაახარა ინგლისელი ნათლია.

უორდროპები ისე მიეჩვივნენ კეთილ მასპინძლებს, ისე შეიყვარეს თელავი, რომ წასვლა ეძნელებოდათ, მაგრამ დრო აღარ ჰქონდათ, უნდა გამგზავრებულიყვნენ.

როსტომაშვილებმა ძველისძველი ჭადრის ხის ქვეშ ძვირფას სტუმრებს გამოსათხოვარი ნადიმი გაუმართეს. ივანემ იმ დღისათვის სოფ. ართანიდან საგანგებოდ ყარალაშვილის გლეხთა მომღერალი გუნდი მოიწვია. როცა ეზოში შესულმა გუნდმა „ცანგალა და გოგონა“ დასძახა, ელისაბედის ბიძამ საცეკვაოდ გაიწვია მარჯორი.

ნადიმზე თელავის მაზრის უფროსი ჩოლოყაშვილი გაკვირვებით შეეკითხა მარჯორის:

— კარგი, მაგრამ, ასე შესანიშნავად ქართული საიდან ისწავლეთ?

— დაბადებიდან, — მძიმედ უპასუხა ქალმა.

— როგორ თუ დაბადებიდან?! — გაოცდა მაზრის უფროსი.

ღიმმორეულმა მარჯორიმ დინჯად აუხსნა, რომ „დაბადება“ ძველი ქართული წიგნიაო, ბატონო!

ამ პასუხმა საერთო სიცილი გამოიწვია.

თელავიდან უორდროპები სიღნაღს გაემგზავრნენ; სასურველ სტუმრებს ქიზიყელები გულთბილად შეხვდნენ და საკადრისად გაუმასპინძლდნენ. ინგლისელმა სტუმრებმა ინახულეს წმინდა ნინოს სახელობის ძველისძველი მონასტერი, შემდეგ ქვემო მაჩხაანსაც ეწვივნენ და დაათვალიერეს სახალხო დეპო.

სიღნაღიდან უორდროპები თბილისში გაემგზავრნენ.

საქართველოდან წასული მარჯორი უორდროპს თავის ქართველ მეგობრებთან კავშირი არ გაუწყვეტია. იგი ოცნებობდა საქართველოში კვლავ გამომგზავრებაზე, კეთილ მეგობრებთან შეხვედრაზე. მართალია, მან მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიარა, მაგრამ საქართველო მას განსაკუთრებით უყვარდა. „საქართველო ჩემი მეორე სამშობლოაო“, — ხშირად ამბობდა ის.

მ. უორდროპმა ინგლისურ ენაზე თარგმნა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“, „ქართული ხალხური ზღაპრები“, „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და სხვ.

მარჯორი უორდროპი გარდაიცვალა 40 წლის ასაკში, რუმინეთში.

* * *

ქვემოთ მოგვყავს ადგილები მარჯორი უორდროპის წერილებიდან, რომლებიც მას საქართველოში თავისი მეგობრების — ჩვენი მოღვაწეებისათვის მოუწერია.

მარჯორის წერილები დაწერილია ძველი, დარბაისლური ენით. როგორც მკითხველიც შეამჩნევს, ამ წერილებში მარჯორის ერთ-ორ ადგილას შეშლია ქართული, მაგრამ თავისთავად ეს ამბავიც კი, — არ ვიცი, როგორ ვთქვა, — რაღაც აუხსნელ სიხარულს აგრძნობინებს მკითხველს, და იცით რატომ? სიყვარული ისეთი რამ არის, ვთქვათ, მხაზღვრელისა და საზღრულის შეუთანხმებლობას კი არა, მეტსაც დაგავიწყებს. ეს კი არ არის საქმე, საქმე გულია, საქართველოსადმი ნაზი სიყვარულით სავსე გული, რომლის თრთოლვა აქ სტრიქონებსა და სტრიქონებს შორისაც იგრძნობა. და ყოველივე ეს უფრო მეტ შუქსა ჰფენს ჩვენს კეთილ ხსოვნას ამ შესანიშნავი ადამიანისადმი. აი ეს წერილებიც:

### ილია ჭავჭავაძეს

მოწყალეო ხელმწიფევ!

ინგლისურად თარგმანი ვჰქმენ თქვენსა „განდეგილსა“, რომელსა უკეთესისა ლექსისაა თქვენი მშვენიერი ენაში რომ მე ვკითხვე და რომელსა ქონება ყველას მწერლობას დიდება უნდა იყოს.

მე დიდი სურვილი მაქვს გავუზიარო ჩემს თანამემამულეთა ის სიამოვნება, რომელიც მე ამ ლექსმა მაგრძნობინა. ამისათვის ვჰკადრებ თხოვნა თქვენი ნება ეს ჩემი თარგმანი გამოცემად.

ვსცადე სიტყვითი სიტყვად მას გამოთქმა, მაგრამ ბევრი მისი მშვენიერება უნდა იყოს, საჭიროდ, დაკარგული უცხო თარგმანში.

ჩემი ძმა დიდი იმედი ქონდა, რამოდენიმე წელიწადნი უკან, ტფილისში, თქვენი გაცნობა ქმნა, და მე დიდი იმედი მაქვს, რომ მეც მაგასთან მალე მოვალ საქართველოში. ქვეყანა რომელკენ მე გულწრფელი სიყვარული ვჰგრძნებ, და სურვილი მაქვს რომ მერე მე შევჰსძლებ პირ და პირ გამოთქმა ულრმესი პატივისცემა თქვენის ნიჭისათვის და დიდებულის მსახურობისათვის მიცემული თქვენგან ძველებურს მეფობას საქართველოსათვის.

მე ვარ, ბატონო, მომლოდინე ჩემთვის სასიხარულო ნებისა.

თქვენი პატივისმცემელი
მარჯორი უორდროპი

### ოლღა გურამიშვილ-ჭავჭავაძეს

...ილიას სურათი მუდამ ჰდგას ჩვენი ოთახში — ერთი შინ, ინგლისში, ერთიც აქ.

იმედი მაქვს უძვირფასესო ოლგა, რომ ახლა თქვენი საყვარელი თვალები კარგათ არიან. ნეტა თუ ჩემ ძალაში იყოს თქვენი განკურნება. ვერ წარმოიდგენთ რანაირად მენატრება თქვენი ნახვა. იმედი მაინც არ ვკარგავ, რომ ოდესმე კი ვინახულებთ ერთმანეთს...

მარჯორი უორდროპი
ბუხარესტი, 9 ენკენობისა, 1909 წ.

„ძვირფასო მეგობარო,

დიდ-დიდ ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე რომ ამდენ ხანს ვერ მოგწერ წერილი. ნუ გგონიათ, რომ წერილის მოუწერლობა დავიწყებას ან უგულობის ნიშანი არის. თქვენმა ამბავმა ფრიად მაწუხა და აქამდე ვერ მგონია რომ ჩემი საყვარელი პატარა ელენე აღარა გყავთ. ტკბილი ლამაზი პაწაწა ქალი იყო და მუდამ ჩემ ხსოვნაში იქნება. როდესაც ელენეს სურათი და ჩურჩხელები გამომიგზავნეთ,-ეს უკანასკნელი წერილი იყო მიღებული ჩემგან ამ წლამდის. მეც მივსწერე რამდენიმე წერილი თქვენთან მუდამ უეჭველოთ არ მიიღეთ.

ახლა ვნახე „დროებაში“ რომ თქვენ კიდევ ერთი ძვირფასი ქალიშვილი დაიკარგეთ. დიდათ მწუხვარ, ულრმესი თანაგრძნობა მიიღეთ, თანა მელმის ამ ახალ ჭირში.

ამ ზაფხულს ჩვენი დედა და ძმა ჩვენთან სტუმრათ იყვნენ კარპატიის მთებში უნგრეთის საზღვარზე. რუმინიაც მშვენიერი ქვეყანა არის, მაგრამ სად არის სხვა საქართველო? დიდი სურვილი მაქვს რომ კიდევ მღირსებოდეს მისი ნახვა.

კარგათ იყავით. მოგიკითხავთ გულით, ნუ დაგვივიწყებთ.

თქვენი მოყვარული ნათლია მარჯორი უორდროპი.

ასე უყვარდა მარჯორის საქართველო. ამიტომ არის, რომ ჩვენში მუდამ ტკბილად იხსენებენ ამ მშვენიერ ინგლისელ ქალს, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართულ კულტურას.

შალვა მარკოზაშვილი.

ბელა შალვაშვილი

## ერთი წამია...

მიდის ღელე და მიაქვს ფოთოლი...
მზე ათინათებს ველებს და ფერებს.
ველებს ათრთოლებს მზე და ფერები,
ღელე — ფოთოლს და ფოთოლი — ღელეს.
ამბობენ, ყოფნა ერთი წამია,
წავა წამი და შევერთვით ბნელეთს...
და მაინც ღელავს მწვანე ფოთოლი
და მისი ღელვა ედება ღელეს.

## სიცოცხლე

ბედნიერების ერთი წამი
ყველას რგებია,
თუნდაც ამ ერთი წამისათვის
ღირდა სიცოცხლე.
აუცილებლად გექნებოდა
ერთი ოცნება,
თუნდაც ამ ერთი ოცნებისთვის
ღირდა სიცოცხლე.
ერთი სიცოცხლის დაარწევდი
საყვარელ აკვანს,
მარტო ამ ერთი სიცოცხლისთვის
ღირდა სიცოცხლე,
ანუგეშებდი მწუხარეს და
იმედდაკარგულს,
თუნდაც ამ ერთი ნუგეშისთვის
ღირდა სიცოცხლე.
ერთხელც იგრძნობდი
ტკივილსა და სიცარიელეს —
და თუნდაც ამა შეგრძნებისთვის
ღირდა სიცოცხლე!

## სვანეთი

ცისაწიერთან სვანეთი —
ლატალი, ბეჩო, ლენჯერი...
მუდმივ აქ დავივანებდი,
რომ მთებით გული მეჯერა, —
სიმაღლით გული მეჯერა,
გული მეჯერა ენგურით...
აფეთქდებოდა ერთხელაც
სვანის გულივით ეს გული.
დავიქუხებდი „ლილეოს“,
გათენდებოდა თუ არა...
ავიშენებდი მცირე ქოხს,
ოცნების კოშკებს უამრავს.
გავატარებდი აქ წლობით,
მუდმივ აქ დავივანებდი,
ახალ მოკეთე-ნაცნობი
ალალ-მართალი სვანებით.

## მათი სიცილი

ჯანსაღი მკერდით იცინიან
სოფლის კაცები,
იცინიან და ექოდ ისმის
მათი სიცილი,
სულ სხვანაირად იცინიან
სოფლის კაცები
და ამ სიცილით მათ სახეებს
ველარ ვიცილებ.
არ იცინიან, თუკი მართლა
არ ეცინებათ
და არ დაჰყვებათ შეძენილი,
ყალბი სიცივე...
სხვაგვარ იციან გაცინება
სოფლის შვილებმა
და მეხარბება, მეხარბება
მათი სიცილი.

ღუღუნი ნახნაგია

## უსასრულო გზა

ხან ქარბუქები გვხვდებიან გზაზე,
ხან მოგვძახიან ნაკადულებრ,
გვხიბლავს მზის ელვა, ცის სილამაზე
და გზას მივყვებით დაუსრულებლივ...

ჩვენ ხან მივდივართ ამ გზაზე წყნარად,
ხანაც ქარივით მივქრივართ შფოთით,
გზა უსასრულო ყოფილა მარად,
მასზე სიარულს ვერჩევით ოდით!

არა, არა აქვს გზას დასასრული,
მისდამი ლტოლვა შუბლს გვიღარავდა,
ბევრი ლამაზი ძე და ასული,
სიცოცხლის გზაზე გაჭაღარავდა...

ბევრმა ბოლომდე ვერ თქვა მგზავრული
და მათ სიმღერას სხვა აიტაცებს,
...არც გზა დასრულდეს, არც სიყვარული,
ჩვენს სათაყვანო მშობელ მიწაზე.



სასამართლო

# რაისას ბიზნესი

თბილისი. ლენინის რაიონი. სახალხო სასამართლო. საბრალდებო სკამზე ზის დაბალი, შეუხედავი ქალი. ორმოც წელს გადაცილებული იქნება. არაფრით იქცევს ყურადღებას, არც გარეგნობით, არც მჭევრმეტყველებით, არც ლოგიკით, სიტყვას ძლივს აბამს სიტყვაზე... და მაინც, დახეთ რამდენი შესძლებია: ხუმრობა ხომ არ არის, სულ მოკლე დროის მანძილზე 44 ადამიანი მოატყუო და 58.000 მანეთი თავისი ხელით მოატანინო მათ შენსავე ბინაზე... რაისა კომოზას მიერ „დაბეგრილთა“ შორის არიან ექიმები და ინჟინრები, ეკონომისტები და ოფიციანტები, შოფრები და სხვა პროფესიის ადამიანები.

გასული წლის მარტო ხუთ თვეში, აპრილიდან აგვისტომდე რაისას მოქ. ა. სილნიაჩნაიამ 3.000 მანეთი მიუტანა, ვ. გოგიჩაიშვილმა — 5.000, ა. მერკულოვმა — 3.000, ჯ. ხაჩიძემ — 3.000, ო. ლუკაშევიჩმა — 5.000, რ. ნიკოლაიდიმ — 900 მანეთი, ხ. რესოვმა — 3.500, პ. ისმაილოვმა — 3.500 მანეთი.

ვინ არის რაისა, რა ხელობის ადამიანია? უბრალო დამლაგებელი გახლდათ. ყოველ დილით უთენია მოდიოდა სამსახურში. ვიდრე დაწესებულებაში მუშაობა დაიწყებოდა, გულმოდგინედ ალაგებდა ოთახებს. საქმის დამთავრების შემდეგ, ცოცხსა და ფალას-ფულასებს პატარა კარადაში ჩაკეტავდა, სამუშაო ხალათს გაიხდიდა, ხელ-პირს გადაიბანდა და შეუმჩნევლად გაიძურწებოდა შენობიდან.

ამის მერე იწყებოდა რაისას მეტამორფოზა. სადღა იყო ჩუმი, მუდამ მორიდებული და უპრეტენზიო ქალი? გაცრეცილი, ძველი კაბის ნაცვლად ძვირფას მოდურ ტანსაცმელში გამოწყობილი რაისა დაქროდა მანქანით აქეთ-იქით, ხელგაშლილად აბნევდა უამრავ ფულს და ამაყი, მბრძანებლური ტონით ესაუბრებოდა ყველას.

— ბინა გინდათ? როგორი? ორი თუ სამი ოთახი? სულ ადვილი საქმეა. რატომ უნდა უცადოთ რიგსა და განაწილებას? მობრძანდით ჩემთან და უცებ გავჩარხავთ საქმეს.

რაისას ბინაზე კი ასეთი საუბრები იმართებოდა:

— როგორ? ეჭვი გეპარებათ? მაშინ ავდგეთ და ახლავე დავამთავროთ ლაპარაკი...

ტაქსის შოფერი ედუარდ მურადოვი შეწუხდა:

— არა, შენი ჭირიმე, უარს ნუ მეტყვი.

რაისა მოლბა და ედუარდს დაჰპირდა სულ მალე კოოპერატიული სახლის ოროთახიან ბინაში ურიგოდ შესვლის ნებართვას გაგიფორმებო.

ედუარდმა საფულე ამოიღო.

მაგრამ სად ჰქონდა რაისას ბინები, რა ფონდიდან უნდა დაეკმაყოფილებინა ეს ხალხი? ასეთი ფონდი, ცხადია, არ არსებობდა; იყვნენ მხოლოდ ვიღაც შუამავლები, ვითომ კოოპერაციული სახლების მშენებლობის უფროსები, ვითომ საქმეში ჩაბმული ადამიანები, რომლებიც სანოტარო წესით დადებულ ხელშეკრულებებზე, ოთახებზე, აივნებზე, სათავსოებზეც კი ლაპარაკობდნენ; ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ძველი ქართული ანდაზა ამბობს — ღვინო არსად იყო და ეშმაკები ტიკებსა ჰბერავდნენო.

ამიტომ, ცხადია, ედუარდმა ბინა ვერ მიიღო.

ასე დაემართა მეორესაც, მესამესაც, მეთხუთმეტესაც, მეოცესაც და ა. შ.

და აი, ერთ დღეს რაისა, თითქოს მიწამ პირი უყო — თვალს და ხელს შუა უგზო-უკვლოდ დაიკარგა. თავზარდაცემულმა ბინის მაძიებლებმა ხელები თავში წაიშინეს, ივიშვიშეს და სამართლის კარს დაუწყეს ძებნა.

— როგორ ახერხებდა ეს ქალი ასეთი ეშმაკური ხრიკების მოწყობას? — ვკითხე სახალხო მოსამართლეს ოთარ აგლაძეს, რომელმაც ეს საქმე გაარჩია და თაღლით ქალს 12 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

— მან კარგად იცოდა, რომ საჭირო იყო პირველ რიგში, ნდობა მოეხვეჭა. ამისთვის რაისას უტყუარი ალღო და ჩამაქრული ენა ჰქონდა, ამით აცდენდა გულუბრყვილო ადამიანებს. ამას გარდა, როგორც უკვე იცით, ის მოხერხებულად იყენებდა მასთან დაკავშირებულ რამდენიმე უსაქმურ პირს. ამ ადამიანებს რაისა, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა უწყებების და ორგანიზაციების მუშაკებად ასაღებდა. ასე მოექცა რაისა ედუარდსაც. მან კოოპერატიული სახლის მშენებლობის უფროსის, მისი მოადგილის და სხვა საჭირო ადამიანების ნაცვლად, შოფერს თავისი ხალხი უჩვენა და მურადოვს ყოველგვარი ეჭვი გაუფანტა.

— ეს ამბავი კარგი გაკვეთილი უნდა იყოს ყველა დაუფიქრებელი ადამიანისათვის! — დაასკვნა მოსამართლემ.

ო. ბარამიძე



# კათედრა

## ვასილ ბოლშაკი

### იუმორისტული მოთხრობა

სოფელ ლემეშოვკაში ცხოვრობს ერთი ბიჭი — სტეფანე კოვალი. ჯან-ღონით სავსე ყმაწვილია. ასე რომ არ იყოს, არც აიყვანდნენ სამჭედლოში უროს დამრტყმელად. კუნთები ისეთი აქვს, როგორც იური ვლასოვს, მუშტები კი თუჯისაგან ჩამოსხმულს მიუგავს. ერთხელ, კოლმეურნეობის საჭიშე ბულამ აიწყვიტა. ფერმის გამგემ მაშინვე სტეფანესთან მოირბინა. კინაღამ ტიროდა კაცი.

— ბიჭო სტეფანე, ლუკამ აიწყვიტა, გვიშველე, როგორმე ჭკუაზე უნდა მოიყვანო.

სტეფანეც დაიძრა, დაედევნა პირუტყვს და „ჭკუაზე მოიყვანა“, უფრო სწორად, კისერი მოუგრიხა და მერე მთელ სოფელზე, კოოპერატივიდან ფერმამდე, ისე გაატარა. აღტაცებით შეჰყურებდნენ თანასოფლელები, მეტადრე კი — გოგოები.

ამ ამბის შემდეგ ჯეელ ბიჭს უფრო მეტი პატივისცემით ეპყრობოდნენ.

გარდა ამისა, სტეფანეს ცხელ-ცხელი ანეკდოტების მოყოლაც ეხერხებოდა.

ასეთი იყო სტეფანე კოვალი. ცხოვრობდა თავისთვის. მთელი დღის განმავლობაში გრდემლზე უროს ურტყამდა, საღამოობით კი კლუბში დადიოდა. ხან კრაკოვიაკს აჰყვიტინებდა გარმონზე, ხან კი უკრავდა მოტივზე — „ბაღში თუ ბოსტანში“. ყოველივე ეს მარუსიას ზედსიძემ, დარმარისმა შეასწავლა.

და აი, სტეფანეს უწყინარი ცხოვრება მოულოდნელად დაირღვა. ერთხელ, როცა ჩვეულებრივ ბიჭუნა გრდემლზე უროს უკაკუნებდა, კარი გაიღო და ზღურბლზე სოფლის საბჭოს აღმასრულებელი მიხეილ კოროლი გამოჩნდა. მეტსახელად მას თრითინას ეძახდნენ. რაც სტეფანეს ახსოვს, ლემეშოვკაში თრითინა სულ აღმასრულებლად იყო. ამ თანამდებობას ის დიდად აფასებდა. კოლმეურნეებთან თავს გამოიდებდა ხოლმე: „ჩვენ მივიღეთ დირექტივა“, „ჩვენ დავადგინეთ“... და სოფელში ცოტა ეშინოდათ კიდეც თრითინასი.

შეაღო კარი თუ არა თრითინამ, სტეფანეს ბრძანების კილოთი მიუგდო:

— საბჭოს თავმჯდომარე გიბარებს.

— რა მოხდა? — უროს ბაგუნი შეწყვიტა ბიჭმა.

— იქ გაიგებ, — მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა თრითინამ და გაუჩინარდა.

უროს ოსტატი უხალისოდ წავიდა სოფლის საბჭოში. თავმჯდომარე მაგიდას უჯდა და რაღაცას წერდა. ისე იყო საქმით გართული, სტეფანეს მისალმებაზე არც კი უპასუხა. ბიჭს ჩაეცინა.

— რას იკრიჭები? — წამოდგა უცებ თავმჯდომარე, — ახალი ანეკდოტის მოყოლას ხომ არ აპირებ? — და ხელები მოიფშვნიტა, თითქოს რაღაც კარგს მოელისო.

— ვერ მოვყვები, — იუარა სტეფანემ.

— რატომ? აქ ქალი არავინ არის. ვისი გერიდება?

— საქმე მაგაში არ არის. ეს ანეკდოტი თქვენზეა.

— ჩემზე... საკუთრივ?

— პირადად არა, მაგრამ ეგრე, საქმეში გართულებზე, თქვენ რომ ხართ.

— აბა... დაიწყე.

— მაშ ასე. თავმჯდომარე სამსახურში მივიდა, ნაბახუსევი გახლდათ. მდივანი კი, რაღაც ნაღვლიანად გამოიყურებოდა. თავმჯდომარემ მძიმედ ამოიხვნეშა — „ეეჰ“, „ურიგო არ იქნებოდა“, — დაუმოწმა მდივანმაც. „აბა, გავიქეცი“, — თქვა დამლაგებელმა.

საბჭოს თავმჯდომარე მოიღრუბლა.

— ჰმ... სასაცილოს აქ ვერაფერს ვხედავ...

— სამაგიეროდ, ჭეშმარიტებაა.

— თუ იცი, რატომ დაგიბარე, — გააწყვეტინა თავმჯდომარემ, — დაკვრა იცი?

— რა თვალსაზრისით მეკითხებით? — დაეჭვდა ბიჭი.

— მაგალითად, რომელიმე საკრავზე. გარმონზე ან ბალალაიკაზე?

— აა... კრაკოვიაკი და „ბაღში თუ ბოსტანში“, მარუსიას ზედსიძემ, საშკო დარმარისმა მასწავლა.

— შესანიშნავია, — გაეხარდა თავმჯდომარეს, — დასაწყისისათვის საკმარისია, — მერე პატარა ხანს ჩაფიქრდა და დაუმატა, — რაც მთავარია, მაგარი ხელი გაქვს, საიმედო. თავმჯდომარემ ჩაახველა, მაგიდაზე თითები აათამაშა და სტეფანეს საიდუმლოდ გაანდო: — კლუბის გამგედ ფიქრობენ შენს დანიშვნას.

სტეფანე უცებ ისე ძლიერად მოტრიალდა, რომ სკამმა საცოდავად დაიჭყნესა:

— მე სამჭედლოშიც კარგად ვგრძნობ თავს.

— კულტურა უნდა ავწიოთ, ზევიდანაა მითითება, — განუმარტა თავმჯდომარემ მჭედელს.

— გალინას რას უშვებით? მან ხომ საკლუბო ტექნიკუმი დაამთავრა. ბაიანზეც მშვენივრად უკრავს და დრამწრეშიც მონაწილეობს... მღერის, ცეკვავს, — რა ვიცი, რაღა არ შეუძლია.

თავმჯდომარემ ხელმეორედ ჩაახველა.

— გალინამ კლუბს თავი მიანება. ხომ იცი, ინტელიგენციაა... ბინა მომეცითო, კლუბის გასათბობად შეშა გამომიყავითო. სულ რაღაც ერთი თვით დაუგვიანებ ხელფასს და ისეთ ამბავს დაგიწევს, ლამისაა სოფლიდან გამაქციონ. ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო, ესეც შენი ინტელიგენცია!..

— ჰო... ო, — წარმოთქვა უროს დამკვრელმა.

ასე დაიყოლია თავმჯდომარემ სტეფანე.

— კლუბის გადაცემის აქტი დამლაგებელს, დეიდა ულიანასა აქვს.

კლუბისაკენ წავიდნენ, სადაც, ულიანას თქმით, ისე ციოდა, როგორც გამოცარიელებულ ეკლესიაში.

ულიანა კლუბში გუშინდელი მზესუმზირის ჩენჩოებს გვიდა.

— აი, ულიანა, ესეც ახალი გამგე. აბა თქვენ იცით, როგორ შეეთვისებით ერთმანეთს!

— შესათვისებლად მაგას თავისი მსგავსები ეყოლება, — თქვა დამლაგებელმა. — კიდევ კარგი, სტეფანე, შენ რომ ამოგარჩიეს, თორემ ეს გასაწყვეტლები თამბაქოს ეწევიან, უშვერი სიტყვებით ილანძღებიან... შენ ერთი-ორს კეფაში წაუთაქებ და გადააჩვევ. იცოცხლე, იციან შენი ხელის ამბავი.

— სწორია, — დაეთანხმა თავმჯდომარე. — სტეფანე წესრიგს დაამყარებს. ახლა კი, ულიანა, გადაცემის აქტი უჩვენე.

— აიღე, სტეფანე, კარადაშია. ზემო თაროზე, კლარნეტზე დევს.

სტეფანემ აქტი აიღო, თვალი გადაავლო. ესეც ქონებაა რაღა: გარმონი, ბალალაიკა, კლარნეტი, დაირა... მერე აქტი ისევ კარადაში შედო.

— მაშ ასე, — მიმოიხედა სტეფანემ, — რითი დავიწყო?

სულ მალე სტეფანეს სოფლის საბჭოში ტელეფონთან დაუძახეს და ზუსტად ეს გახლდათ მისი მუშაობის დასაწყისიც. რაიონიდან შეატყობინეს — საღამოს ფილარმონიის საკონცერტო ბრიგადა ჩამოვაო.

— რაც შეიძლება, კარგად მოემზადეთ. მსახიობებს დაუხვდით...

ახალმა გამგემ კეფა მოიფხანა. სჯობდა ისევ ურო მერტყა სამჭედლოშიო; ამ დროს დრამწრის ხელმძღვანელი, ივან ფილიპოვიჩი შემოვიდა. დაწერეს აფიშა.

ჩამოვიდნენ მსახიობები. ხელებს სულის ბერვით ითბობდნენ:

— მეტისმეტად ცივა თქვენს კლუბში...

— არაფერია, — დაამშვიდა ახალმა გამგემ, — ხალხით გაივსება და გათბება. მუდამ ასეა.

— ჩვენ რაღა ვქნათ, სცენაზე? — წამოიძახა ყველაზე ახალგაზრდა მსახიობმა ქალმა, — ჩვენ ერთმოქმედებიანი პიესა გვაქვს... მოქმედება ზაფხულში, მკის დროს ხდება. რაღა ვქნათ ახლა?

— მე ჯამბაზი ხომ არა ვარ. ზამთარში ზაფხული საიდან მოგიყვანოთ, — მიუგო სტეფანემ.

მსახიობებმა წარმოდგენისათვის მზადება დაიწყეს.

— წყალი ხომ გაქვთ? — დაინტერესდა ახლა ნამდვილი ჯამბაზი, რომელიც მსახიობებს ჩამოჰყვა.

სტეფანე უხმოდ გავიდა, ვედროთი წყალი შემოიტანა, მერე სასმელი ტოლჩა კალთაზე გაწმინდა.

— სვით, რამდენიც გენებოთ.

— გრაფინი მაინც მოგეტანათ, — უთხრა ჯამბაზმა.

— არაყი არ გნებავთ? — ეშმაკურად ჰკითხა სტეფანემ. — იქნებ გორილკა ინებოთ, წიწაკაზე დაყენებული!

როგორც იქნა, კონცერტი დაიწყო. ახალგაზრდა მსახიობი ქალი სიცივისაგან კბილს კბილზე აწკაწკებდა და თან გოგონას როლს თამაშობდა, რომელსაც ვითომ ძალიან სცხელა.

მაყურებლები კი ერთმანეთში საუბრობდნენ:

— აი, რას ნიშნავს მსახიობი!

— მაშ, კაცო, კბილი კბილისათვის ვერ დაუდგამს და ისე კი თამაშობს, ძალიანა შცხელაო. განა ყველა შესძლებს მაგას!

— მაგაში უხდიან ფულს.

— რაში? კანკალში?

— იმაში, რომ გაჩვენებს, მცხელაო.

დილით ახალმა გამგემ გადაწყვიტა აქტის მიხედვით დაწვრილებით შეემოწმებინა კლუბის მთელი ავლადიდება. აქტი კლარნეტიდან გადმოიღო და ჩაიკითხა:

— გარმონი აქ არის, საყვირი — არის, დაირა — არის, კათედრა... ეეხ...

სტეფანემ კეფა მოიფხანა.

— კათედრა რაღა ჯანდაბაა? ალბათ, რაიმე საკრავია... მოიცა, მოიცა, იმ ხმლებისყლაპია ჯამბაზმა ხომ არ ამწაპნა? გუშინ, რაღაც საეჭვოდ დაძვრებოდა... აბა, ერთი კიდევ მოვძებნო!

მთელი კარადები გადაქექა, კულისები სულ მუხლის თავებზე მოიარა. ამ დროს დამლაგებელიც შემოვიდა:

— დეიდა ულიანა, კათედრა არ გინახავს?

— ეგ რაღაა, ბიჭო?

— რა ვიცი, აქტში დაირის შემდეგ სწერია. ალბათ, რაიმე მუსიკალური საკრავია.

— ჰო, საკრავი იქნება, — დაეთანხმა დეიდა

# ნანა ალექსანდრია

ჭადრაკში ხშირად ძალა სულ სხვაა, სილამაზე კი სულ სხვა. ისტორიას არაერთი გამოჩენილი მოჭადრაკე ახსოვს, რომელთა პარტიებს აშკარად აკლიათ მომხიბვლელობა. არა, ეს დიდოსტატები სხვებზე ნაკლებად როდი ამარცხებდნენ მეტოქეებს. ასეთ ოსტატებს პირველი პრიზიც ხშირად მოუხვეჭიათ, მათს პარტიებშიც გარეგნულად ყველაფერი რიგზეა. ყველაფერს ნახავთ: ჩინებულ მანევრებს, ვირტუოზულად შესრულებულ ენდშპილს. ვერ ნახავთ მხოლოდ ერთ რამეს — ცეცხლსა და ელვარებას.

როდესაც ნანა ალექსანდრია ტურნირში თამაშობს, ჩემთვის ბედნიერი დღეები დგება. ყველაფერი მავიწყდება. მოხიბლული ვადევნებ თვალს თვითეულ სვლას, შემდეგ კი საათობით ვარჩევ. რამდენი სილამაზეა მათში, ნაირ-ნაირი კომბინაციები, არაჩვეულებრივი ელვარება, ცეცხლი, ჩაუქრობელი ცეცხლი; თუნდაც პარტიები მეტოქეთა გვარის დაუსახელებლად მაჩვენეთ, ნანას პარტიებს ყველასაგან გამოვარჩევ. ასეთი გრძნობა ადრე მხოლოდ ორჯერ დამეუფლა: ნონა გაფრინდაშვილისა და მიხეილ ტალის შედევრების გაცნობისას.

რა თქმა უნდა, მე მარტო როდი გახლავართ. ეს ხდება არა მარტო თბილისსა და გორში (ჟურნალისტებს უყვართ აქაურ გულშემატკივართა ექსპანსიურობაზე ლაპარაკი), არამედ რომელიც გნებავთ სხვა ქალაქშიც. ნანას ასპარეზი კი ყოველწლიურად იზრდება.

1964 წლის მაისი, სოხუმი. ნანას ჯერაც არ შესრულებია 15 წელი. იგი პირველად მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირში. მას თავი ისე უჭირავს, თითქოს ბევრ ასეთ შეჯიბრებაში ეთამაშოს, მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეებს უჭირთ მოუგონ მას. განთქმული გერმანელი ოსტატი ედიტ კელერგერმანი გვეუბნება: „საოცარია! ასეთს რას ასწავლის ვახტანგ ქარსელაძე ამ გოგონებს, გაივლის კიდევ რამდენიმე წელი და ნანა ალექსანდრია მსოფლიოს აალაპარაკებს".

საინტერესოა, რომ საჭადრაკო მსოფლიოს ასალაპარაკებლად ნანას რამდენიმე წელი არ დასჭირვებია.

1964 წლის ოქტომბერი, თბილისი. ჩვენს დედაქალაქში თავი მოიყარეს საბჭოთა კავშირის უძლიერესმა მოჭადრაკე ქალებმა; საკავშირო ჩემპიონატში პირველად ნანაც გამოდის. ათი ტურის შემდეგ პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და... ნანა ალექსანდრია! ეს ნამდვილი სასწაული იყო. რა ვუყოთ, რომ მეორე ნახევარში ნორჩ მოჭადრაკეს ძალებმა უმტყუნეს. საბოლოო ანგარიშში მან 6-7 ადგილები გაიყო მრავალნაცად ვ. ბორისენკოსთან. ეს დიდებული შედეგი იყო. ახლა ამას დავუმატოთ სპეციალური პრიზიც, რომელიც ნანამ ლ. ვოლპერტთან ენდშპილის მოგებისათვის მიიღო. თვით ლარისა ვოლპერტი მოგვიანებით გვიყვებოდა, რომ თამაში ენდშპილში შეგნებულად გადაიყვანა. „დაფაზე თანაბარი დაბოლოებაა. რა ვუყოთ მერე, განა შეძლებს ეს ბაბთიანი გოგონა წონასწორობის შენარჩუნებას. როგორც წესი, ახალგაზრდები სუსტად თამაშობენ ენდშპილში". პირიქით მოხდა, წონასწორობა ვერ შეინარჩუნა თვით ვოლპერტმა!

1966 წელი, კიევი. ნანა უკვე მეორედ მონაწილეობს საკავშირო ჩემპიონატში, პირველ ორ ტურში ორივე პარტიას აგებს — თბილისელ ოსტატებთან ელისო კაკაბაძესა და ალა ჩაიკოვსკაიასთან. „საიდან უნდა ჰქონდეს ასეთ გულკეთილ გოგონას საბრძოლო ხასიათი! ნახავთ, ეს ორი წაგება დამღუპველად იმოქმედებს მის შედეგზე!" — თქვა ზოგმა სკეპტიკოსმა. ნანას ახალი მწვრთნელი ბუხუტი გურგენიძე (ვახტანგი უკვე აღარ იყო ამ დროს ცოცხალი) მოღუშული დადიოდა, მაგრამ გვითხრა: „მაინცდამაინც გულს ნუ გაიტეხთ. რა ვუყოთ, რომ ორი პარტია წააგო", მწვრთნელის სიტყვები გამართლდა კიდეც — ნანა სწრაფად გაიმართა წელში, რამდენიმე პარტია მოიგო და ლიდერი გახდა. „კიევური თავგადასავლები" ამით როდი დამთავრებულა. სავსებით მოსაგებ პოზიციაში ვალენტინა კოზლოვსკაიასთან ნანას სერიოზული შეცდომა მოუვიდა და კიდევ ერთი ნოლი მიიღო. ეს კი მეტისმეტი იყო. ახლა ნანას ყველა გულშემატკივარი შეწუხდა. იმედი მხოლოდ მოჭადრაკეს არ დაუკარგავს. მან ისევ მოიკრიბა ძალ-ღონე და უკანასკნელ ტურში მაია რანიკუსთან ჩინებული მოგებით პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი. პირველი ადგილი კიევში ორმაგად ძვირფასი იყო. იგი ნანას გზას უხსნიდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირისაკენ.

1967 წელი, სუბოტიცა (იუგოსლავია). 18 წლის ნანა პირველად ჩაება პრეტენდენტთა ტურნირში. „არა, პირველ ასეთ ტურნირში იგი ვერ მიაღწევს დიდ წარმატებას. უბრალოდ, ასეთ ახალგაზრდულ ასაკში ძნელია პრეტენდენტთა ასპარეზობაში პირველი ადგილის დაჭერა. მაგრამ პირველ ტურნირს ხომ მეორე მოსდევს!" — უყვარდა ხოლმე თქმა ვახტანგ ქარსელაძეს. 7-9 ადგილების გაყოფა სუბოტიცაში მილუნკა ლაზარევიჩსა და ალექსანდრა ნიკოლაუსთან (10 ქულა 17 თამაშიდან), რა თქმა უნდა, კარგი შედეგი იყო, თუმცა ნ. ალექსანდრიასაგან ბევრი მეტს მოელოდა. იუგოსლაველმა ჟურნალისტებმა 18 წლის პრეტენდენტს „ქალთა ფიშერი" შეარქვეს.

„მეტოქეთა დაზვერვის" პერიოდი ამით დამთავრდა. ნაკლი თვითეულ მოჭადრაკეს აქვს. ამ ნაკლოვანი მხარეების გამოსწორებას შეუდგნენ ნანა და მისი მწვრთნელი, ჩინებული სპეციალისტი ბუხუტი გურგენიძე. დაიწყო შეუპოვარი მუშაობა: დიდი მოჭადრაკეების შემოქმედების შესწავლა, საკუთარი შეცდომების გამოვლენა და გამოსწორება.

1968 წელი ნანას კარგად დაამახსოვრდა — პირველი ადგილი თბილისის დიდ საერთაშორისო ტურნირში, პირველი-მეორე ადგილები საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც აშხაბადში ჩატარდა. ამას მოჰყვა დამატებითი მატჩი ალა ჩაიკოვსკაიასთან. ალა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე გახლავთ. კუშნირთან შესახვედრად რომ ემზადებოდა, ნონა გაფრინდაშვილმა სწორედ მასთან ითამაშა „სპარინგ-მატჩი". ნანამ კარგად იცოდა, როგორ სახიფათო მეტოქესთან ჰქონდა საქმე. მატჩის ანგარიში მეტად დამაჯერებელი იყო 3,5:0,5. ნ. ალექსანდრია მეორედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

1969 წელი. ნანა პირველად მონაწილეობს საჭადრაკო სეზონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტურნირში, რომელიც 8 მარტს ეძღვნება. ისევ პირველი პრიზი მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეებთან ბრძოლაში. ბელგრადში არ გამოსულან მხოლოდ ნონა გაფრინდაშვილი და ალა კუშნირი, რომლებიც ამ დროს მატჩისათვის სამზადისს ამთავრებდნენ.

როდესაც დაისვა საკითხი ვინ უნდა გამგზავრებულიყო ლიუბლინის ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადაზე მსოფლიო ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილსა და მის მეტოქე ალა კუშნირთან ერთად, ყველა სპეციალისტმა ერთხმად დაასახელა ნანა ალექსანდრია. შედეგი ასეთი იყო: 8 ქულა 9 შესაძლებლიდან!

ოქტომბერ-ნოემბერში გორის გ. ერისთავის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა სცენა მოჭადრაკეებს დაუთმეს და თვითონ პარტერში გადაბარგდნენ— დაიწყო სულ სხვაგვარი სპექტაკლი. ამ სპექტაკლის მთავარი მოქმედი პირი ნანა ალექსანდრია იყო. გორში ბევრი ცნობილი „მატადორი" გამოვიდა, მაგრამ ნანასთან ბრძოლა ვერავინ შეძლო. ვერც დიდად ნიჭიერმა ელენე რუბცოვამ, ვერც ენერგიულმა ნატალია კონოპლიოვამ, ვერც შეუპოვარმა ვალენტინა კოზლოვსკაიამ. 8,5 ქულა პირველი 9 ტურიდან, 15 ქულა 19 შესაძლებლიდან — ეს ბრწყინვალე შედეგი გახლავთ. შუა ტურნირში ტატიანა ზატულოვსკაიასა და ელენე რუბცოვას მხოლოდ ერთი დარდი ჰქონდათ — ვერცხლის მედალი ერთმანეთისათვის არ დაეთმოთ, რადგან ოქროს ბედი კარგა ხანია გადაწყდა. ნანა მედლების ნამდვილი კოლექციონერი გახდა. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონობა და საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონობა 20 წლის ასაკში — მეტი დავლის მოპოვება შეუძლებელი იყო.

ჩვენ დავამთავრებთ იმით, რითაც დავიწყეთ: ჭადრაკში ხშირად ძალა სულ სხვაა, სილამაზე კი სულ სხვა. ზოგ დიდ მოჭადრაკის პარტიებს სწორედ ეშხი აკლია. მაგრამ იმას რაღა სჯობს, როდესაც ოსტატს ერთიც აქვს და მეორეც. რა თქმა უნდა, ასეთ ხელოვანთა რიცხვი მცირეა. ის კი ცხადია, რომ ერთ-ერთი მათგანი სწორედ ნანა ალექსანდრიაა.

გივი გამრეკელი

---

ულიანაც,—აი, დავგვი, იქნებ სადმე გადავარდა და წავაწყდები.

— იქნებ, გუშინდელმა მსახიობებმა გააყოლეს ხელს, — ფრთხილად შეაპარა სტეფანემ.

დეიდა ულიანამ იატაკის გვას თავი მიანება და წელში გასწორდა.

— არცაა გასაკვირი, მაგალითად, იმ ჯამბაზმა იმდენი ხალხის წინაშე ივან ფილიპოვიჩს ფული რომ ამოაცალა, კათედრის აწაპვნასაც სულ ადვილად შესძლებდა.

სწორედ ამ დროს მასწავლებელი შემოვიდა.

— რა სახე ჩამოგტირით, ხალხო?! — მხიარულად მიმართა მათ ივან ფილიპოვიჩმა.

მაშინ დეიდა ულიანამ განუმარტა:

— იმ ჯამბაზმა, ხმლებს რომ ყლაპავდა, აი, თქვენც რომ ფული ამოგაცალათ... კათედრა მოგვპარა.

— რომელი კათედრა? — განცვიფრდა მასწავლებელი.

სტეფანემ აქტი ახლოს მიუტანა და თითით ის ავბედითი სიტყვა აჩვენა.

ივან ფილიპოვიჩი სკამზე ულონოდ დაეშვა და ხარხარი აუტყდა. სახტად დარჩენილმა სტეფანემ და დეიდა ულიანამ ერთმანეთს გადახედეს—ეს რა დაემართა მასწავლებელსო? ივან ფილიპოვიჩი კი, სიცილით გული რომ იჯერა, წამოდგა, სცენასთან მივიდა და ხის ტრიბუნას ხელი დაადო.

— აი, ეს არის კათედრა!

სტეფანე მოიღუშა, უხერხულად შეინაცვლა ფეხი. მერე მოულოდნელად აქტი დამლაგებელს შეაჩეჩა და მძიმედ ამოიოხრა:

— უკანვე დადე, კლარნეტზე.

და კლუბიდან გავარდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სამჭედლოდან დეიდა ულიანასა და ივან ფილიპოვიჩს უროს მძიმე ბაგუნი მოესმათ.

— ნეტა, ახლა ვილას ამოირჩევს თავმჯდომარე?— ჩაფიქრდა დეიდა ულიანა, — გამგე ხომ აუცილებელია. კულტურა უნდა ავამაღლოთ. ზევიდანაა ასეთი მითითება!

უკრაინულიდან თარგმნა
ჯაბა ასათიანმა

# ჟურნალისტები

# იერიშზე



თბილისის „ჟურნალისტი“ კიევის „დინამოს“ სტადიონზე.

თბილისის აეროდრომი... კიევისკენ მიმავალ თვითმფრინავთან მგზავრები მოგროვილან.

— პირველ რიგში ფეხბურთელებს ვთხოვ დაიკავონ თავიანთი ადგილები! — აცხადებს სტიუარდესა და ჭგუფურ ბილეთს ჰაერში აფრიალებს.

მგზავრები ცნობისმოყვარეობით იცქირებიანირგვლივ, ალბათ ჰგონიათ, თბილისის „დინამოელები“ თუ მიფრინავენ კიევშიო, მაგრამ ნაცნობ სახეებს თვალი ვერსად მოჰკრეს. ამ დროს კი ტრაპზე მძიმე ნაბიჯებით, რიგრიგობით ადიან ოთარ იოსელიანი, გურამ ფანჯიკიძე, კოტე მახარაძე, ზურაბ რცხილაძე, გარუნ აკოფოვი, შიო ლარცულიანი, ვანდი ხანდამიშვილი, ვასილ მჭედლიშვილი....

მგზავრები შეიშმუშნენ, სახეზე აშკარად გამოეხატათ ეჭვი და გაოცება. როცა ტრაპზე ოთარ გაგუა და გიგლა ფირცხალავაც გამოჩნდნენ, — ისინი ხომ თვითეული 117,5 კილოს იწონიან, წლოვანებაზე რომ არაფერი ვთქვათ, — მგზავრებს მაშინ კი აევსოთ მოთმინების ფიალა და ხმაშეწყობილად აყაყანდნენ:

— რატომ გვატყუებთ, რას ჰგავს ეს!

აღშფოთებული მგზავრები მანამდე ვერ დაშოშმინდნენ, სანამ არ დარწმუნდნენ, რომ ეს ჩასუქებული, ჭაღარაშერეული და ზოგიც მთლად გამელოტებული „ბიჭები“ მართლაც ფეხბურთელები იყვნენ.

დიახ, კიევში მორიგი მატჩის ჩასატარებლად მიემგზავრებოდა თბილისის „ჟურნალისტი“, საბჭოთა კავშირის უძლიერესი გუნდი კოლეგებს შორის. ამ გუნდის არსებობა კარგა ხანია იციან თბილისელმა გულშემატკივრებმა და არა მარტო თბილისელებმა. „ჟურნალისტმა“ ორჯერ დაამარცხა გაზეთ „იზვესტიას“ ძლიერი კოლექტივი, პირველად თბილისში, ანგარიშით 1:0 და მეორედ მოსკოვში, ანგარიშით 2:1. თბილისის „ჟურნალისტის“ მატიანეს ამშვენებს შესანიშნავი გამარჯვება ქუთაისელ კოლეგებზე ანგარიშით 4:3. ეს გამარჯვება მით არის ღირსშესანიშნავი, რომ ქუთაისელებმა მოედანზე გამოიყვანეს ცნობილი ფეხბურთელის კარლო ხურციძის აღზრდილები თვით კარლოს მეთაურობით. ერთადერთი ჟურნალისტი, რომელიც გუნდში თამაშობდა, ეს იყო გუნდის კაპიტანი ივანე ბუხაიძე. თბილისელმა ჟურნალისტებმა მაინც შეძლეს გამოცდილი მეტოქის დამარცხება. ახლა დამარცხებულნი, წელიწადზე მეტია, ენერგიულად ემზადებიან რევანშისათვის.

დღეს კი „ჟურნალისტი“ კიევში მიემგზავრება. მისი მოწინააღმდეგეა კიეველი კოლეგების გუნდი „რადიანსკაია უკრაინა“.

ორიოდე სიტყვა ჩვენს გუნდზე: გუნდის უფროსია გაზეთ „თბილისის“ პასუხისმგებელი მდივანი ოთარ იოსელიანი, ფეხბურთის ჩუმი და ენერგიული თეორეტიკოსი. იგი უფრო სამხრეთულ, არტისტულ ფეხბურთს თანაუგრძნობს და გუნდიც ძირითადად მაღალტექნიკური ფეხბურთელებით ჰყავს დაკომპლექტებული.

„ჟურნალისტის“ საშუალო ასაკია 37 წელი და 11 თვე, საშუალო წონა 87 კილო და 700 გრამი.

გუნდის კაპიტანია გაზეთ „თბილისის“ განყოფილების გამგე ოთარ გაგუა. იგი ინგლისურ-ბრაზილიურ-ქუთაისური ტიპის თავდამსხმელია. განსაკუთრებით სახიფათოდ თამაშობს მარჯვენა ფეხით და ღიპით.

გუნდის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს სამკუთხედი: გურამ ფანჯიკიძე (მარჯვენა გარემარბი), ზურაბ რცხილაძე (მარცხენა გარემარბი) და გიგლა ფირცხალავა (ცენტრალური მცველი), რომლებიც დიდ ტექნიკას და უძლიერეს დარტყმებს შესანიშნავად უთავსებენ დედმამიშვილების სადღეგრძელოებს. გუნდში არიან შედარებით ახალგაზრდა ფეხბურთელები — ი. ნატროშვილი, ძმები ე. და თ. ინწკირველები, დ. ნონიკაშვილი, ს. ჩოჩუა, ნ. შეყრილაძე და სხვები, რომლებსაც ნაკლები სატურნირო გამოცდილება გააჩნიათ, მაგრამ ამას ახალგაზრდული ენერგიით და ტემპერამენტით ინაზღაურებენ.

ამას დაუმატეთ „სოვეტსკი სპორტის“ სპეციალური კორესპონდენტის გარუნ აკოფოვის ინდივიდუალური გარღვევები, — იგი გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე წერს, — შიო ლარცულიანის ფილიგრანული ტექნიკა და ვანდი ხანდამიშვილის განუმეორებელი დრიბლინგი.

ოთარ იოსელიანმა დიდი შრომა გასწია, რომ სხვადასხვა სტილისა და ხელწერის მქონე ჟურნალისტებისაგან ერთი მონოლითური კოლექტივი შეექმნა.

გუნდი ბევრნაირი სისტემით თამაშობდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც 1—4—2—4 სქემაზე შეჩერდა.

გუნდის დევიზია — „გამარჯვება და მხოლოდ გამარჯვება!“

ამ დევიზით და გამარჯვების რწმენით აღსავსენი გამოვიდნენ ისინი კიევის „დინამოს“ სტადიონზე.

„ჟურნალისტი“ ამ ორთაბრძოლისათვის საგანგებოდ მოემზადა. მატჩამდე სამი დღით ადრე საერთოდ დაივიწყეს ღვინო და უფრო სერიოზული სასმელები. ყველა გრძნობდა, წინ რა საპასუხისმგებლო შეხვედრა ელოდათ სრულიად უცნობ მოწინააღმდეგესთან. უცნობი იყო მათი ფიზიკური შესაძლებლობანი, თამაშის მანერა, სტილი. თბილისელებმა იცოდნენ, რომ გუნდს კიევის „დინამოს“ წამყვანი მოთამაშე, სპორტის დამსახურებული ოსტატი იოჟეფ საბო წვრთნიდა. ოთარ იოსელიანმაც თვით კიევის „დინამო“ აიღო ორიენტირად საწინააღმდეგო სტრატეგიულ-ტაქტიკური გეგმის შედგენისათვის. თბილისელებმა იცოდნენ ისიც, რომ მოწინააღმდეგის კარს იცავდა სპორტის ოსტატი, ოდესის „ჩერნომორეცის“ ყოფილი მეკარე ვალერი მოგილა. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე ცნობილი ოლიმპიელი იგორ ზასედა და სხვა არანაკლები ბიოგრაფიის მქონე სპორტსმენები.

თბილისელი ჟურნალისტები მხოლოდ ამ ძუნწი ცნობებით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. ამიტომაც გადაწყდა, პირველ 15 წუთს გუნდს ეთამაშა სისტემით 1—4—3—3. მერე, როგორც კი მოწინააღმდეგეს ალღოს აუღებდნენ, ჩვეულებისამებრ ისევ გააძლიერებდნენ თავდასხმას.

ტრიბუნები აღფრთოვანებული ოვაციებით შეხვდნენ თბილისელ ფეხბურთელებს. მაყურებელთა შორის იყო მოსკოველი სპორტული მიმომხილველი იური ვანიატი, აგრეთვე ანატოლი ბიშოვეცი, საბჭოთა კავშირის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი. როგორც შემდეგ გამოირკვა, ბიშოვეცმაც არანაკლები ამაგი დასდო კიეველი ჟურნალისტების ტაქტიკურად მომზადებას.

თამაში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, თავიდანვე კიეველთა იერიშებით დაიწყო. პირველი წუთებიდანვე აშკარა იყო მათი განზრახვა — დაებომბათ თბილისელთა კარის მარცხენა კუთხე. იოჟეფ საბოს საიდანღაც გაეგო, რომ თბილისელთა მეკარეს კოტე მახარაძეს ინფარქტი ჰქონდა გადატანილი და თავის ბიჭებს ურჩია, ძირითადად მარცხენა კუთხეში ურტყითო. კიეველთა მწვრთნე-



კიეველი ჟურნალისტების გუნდის მწვრთნელი იოჟეფ საბო და თბილისელთა გუნდის უფროსი ოთარ იოსელიანი.

ლის ეს ტაქტიკური ჩანაფიქრი უტყუარი გამოდგა: გიგლა ფირცხალავასა და კოტე მახარაძის შეუთანხმებელი მოქმედების შედეგად ბურთი კიეველებმა იგდეს ხელთ და არცთუ უძლიერესი დარტყმით თბილისელთა კარში გაგზავნეს. კოტე მახარაძემ ვეფხვივით შეკრა კამარა, მაგრამ ჰაერში დროულად გაახსენდა თავისი ინფარქტის ამბავი და... ბურთი გულსაკლავად გაეხვია თბილისელთა კარის ბადეში. „ნუ, იაკ მოი გრაიუტ!“ — წამოიძახა გახარებულმა საბომ.

თბილისელთათვის კარგად ცნობილმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ნ. ბალაკინმა ხელი სიამოვნებით გაიშვირა ცენტრისაკენ. 1:0 კიეველ ჟურნალისტთა სასარგებლოდ. ეს მოხდა თამაშის მეშვიდე წუთზე.

აი სწორედ აქ იჩინა თავი კოტე მახარაძის დიდმა გამოცდილებამ, ელვისებურმა ტაქტიკურმა აზროვნებამ და თამაშში გარკვევის უბადლო ინტუიციამ — მან უყოყმანოდ დასტოვა მოედანი და კარი თბილისის „ჟურნალისტის“ ახალგაზრდა წევრს ნ. ბატაშვილს დაუთმო.

ამის შემდეგ თბილისელები გადამწყვეტ იერიშზე გადადიან. გამუდმებით ბომბავენ კიეველთა კარს ოთარ გაგუა და გურამ ფანჯიკიძე. კიეველთა გამოცდილმა მეკარე მოგილამ რამდენიმე მკვდარი ბურთი მოიგერია. მაგრამ აი თბილისელთა კაპიტანმა ოთარ გაგუამ, თავისდა გასაოცრად, სამი მოწინააღმდეგე მოატყუა და ბურთი კიეველთა კარის ბადეში გაახვია. თამაშის ოცდამეხუთე წუთზე ანგარიში გათანაბრდა.

მოედანს მთლიანად თბილისელი ჟურნალისტები დაეპატრონენ. კიეველები უძლურნი არიან მოიგერიონ გარუნ აკოფოვის, ზურაბ რცხილაძის, ოთარ გაგუას და განსაკუთრებით გურამ ფანჯიკიძის იერიშები. მაშინ კიეველებმა გადაწყვიტეს მწყობრიდან გამოეყვანათ თბილისელთა მარჯვენა გარემარბი. მართლაც, ოცდამეათე წუთზე გურამ ფანჯიკიძემაც გაიზიარა პელესა და ბესტის ბედი. კარგ ფეხბურთელებზე ხომ მუდამ ასე ნადირობენ! გურამი მოედანზე იგრიხებოდა ტკივილისაგან. მაშინ გაახსენდა დეიდამისის სიტყვები, კიევში გამგზავრების წინ რომ უთხრა — ბიჭო, მიშა მესხმა დაანება ფეხბურთს თავი, შენ რა ღმერთი გიწყრება!

ფეხდაშავებული თბილისელთა მარჯვენა გარემარბი მოედნიდან გაიყვანეს, მაგრამ თბილისელთა იერიშები მაინც არ შესუსტებულა და ტაიმის დამთავრებამდე კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს.

ვერც მეორე ტაიმში უშველა კიეველებს საბოსა და ბიშოვეცის მახვილგონივრულმა ტაქტიკურმა ანალიზმა. ტაიმის დასაწყისშივე თბილისელებმა მესამე ბურთი გაიტანეს, მაგრამ ბალაკინმა თბილისელთათვის უკვე ცნობილი ჩვეული ოსტატობით ბურთი არ ჩათვალა. თუმცა ამან კიეველებს ვერაფერი უშველა, თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ზურაბ რცხილაძემ ისეთი ბურთი გაიტანა, თვით საბოსაც კი შეშურდებოდა.

ეს იყო თბილისის „ჟურნალისტის“ მეოთხე გამარჯვება ანგარიშით 3:1.

თბილისელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვილას ახსოვდა დაღლილობა ან დალურჯებული წვივები!

ოთარ იოსელიანს ინტერვიუსათვის გარს შემოეხვივნენ ჟურნალისტები, ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლები, ფეხბურთის სპეციალისტები; მან იქვე მიიღო მიპატიჟება ლენინგრადში, ოდესაში, ლვოვში.

იმ წუთში ყველას გულწრფელად სჯეროდა, რომ ფეხბურთის თამაში გაცილებით იოლი იყო, ვიდრე ფეხბურთზე სტატიების წერა.

თამაზ წივწივაძე

# ლოტბარის ცხოვრების გზა

ღვაწლმოსილმა ლოტბარმა ვასილ კობახიძემ ცხოვრების საკმაოდ გრძელი და საინტერესო გზა გაიარა. იგი დაიბადა რაჭის ულამაზეს სოფელში, ნიკორწმინდაში; მამამისი სამსონი გამრჯე კაცი იყო, ხელობით დურგალი, წვრილშვილიანი ოჯახის პატრონი. უფროსი ვაჟი მან ქუთაისის სემინარიაში მიაბარა და ოცნებად ჰქონდა დანარჩენებისათვისაც მიეცა განათლება, მაგრამ ბედმა უმუხთლა: რეაქციის წლებში ალიხანოვის დამსჯელ რაზმს ვერც მისი ოჯახი გადაურჩა, კაზაკებმა მისი სახლკარი გადაწვეს, ხოლო სამსონი და მისი ცოლი დახოცეს იმისათვის, რომ მათი უფროსი შვილი სახალხო აჯანყების მონაწილე იყო. ბავშვები უპატრონოდ დარჩნენ. პატარა ვასო ბიძაშვილმა თბილისში წაიყვანა და საკონდიტროში მოსამსახურედ დააყენა.

მუსიკისადმი ტრფიალი ბავშვს ოჯახიდან გამოჰყვა. მამა გალობის დიდი მოყვარული ყოფილა — თურმე შეკრებდა ხოლმე თავის ოჯახის წევრებს და წამოიწყებდნენ ტკბილ რაჭულ სიმღერებს. 1912 წელს თხუთმეტი წლის ვასო მიხეილ კავსაძის გუნდში მოხვდა. აქ იგი მოწყურებული დაეწაფა მუსიკის შესწავლას. იმავე ხანებში საცეკვაო გუნდში შევიდა და კარგი მოცეკვავე დადგა.

1919 წლიდან 1927 წლამდე ვასო კობახიძე მარო თარხნიშვილის გუნდში მღეროდა, თან ადმინისტრატორის მოვალეობასაც ასრულებდა, 1927 წლიდან იგი აყალიბებს რაჭა-ლეჩხუმის ეთნოგრაფიულ მომღერალ-მოცეკვავეთა წრეს. და აი, მომდევნო წელს ვასო კობახიძემ პირველმა გააცნო ფართო საზოგადოებას რაჭული საფერხულო სიმღერები. გუნდის რეპერტუარი საკმაოდ მდიდარი იყო, კერძოდ დიდი მოწონება ხვდა სიმღერებს — „მაღლა მთას მოდგა“, „მგზავრული“, „მრავალჟამიერი“, „ქვემორაჭული მაყრული“, „მესტვირული“, „ფერხული“ და სხვა. გუნდი მოგზაურობას იწყებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მას ყველგან გულთბილად ხვდებიან. ვ. კობახიძის აღმზრდელი და მასწავლებელი მიხეილ კავსაძე იმ ხანებში პრესის ფურცლებზე აქვეყნებს წერილს, რომელშიც აღნიშნავს: რაჭა-ლეჩხუმის ხალხურ სიმღერათა გუნდი საამო შთაბეჭდილებას ტოვებს თავისი რეპერტუარით და ჩაცმულობით; გუნდი კარგად ასრულებდა სვანურ სიმღერებსაც; აგრეთვე ცეკვებს — „ქართულს“, „კინტოურს“, „მთიულურს“, „საოხუნჯოს“.

მომდევნო წლებში ვასო კობახიძე სათავეში უდგება სარეწაო კოოპერაციის გუნდს, რომელიც დიდი წარმატებით გამოვიდა მოსკოვში გამართულ თვითმოქმედი კოლექტივების საკავშირო ოლიმპიადაზე; სამამულო ომის წლებში გუნდმა ვ. კობახიძის ლოტბარობით 442 საშეფო კონცერტი ჩაატარა ჰოსპიტლებსა და ჯარის ნაწილებში.

საქართველოს რესპუბლიკის მეექვსე და მეშვიდე ოლიმპიადებზე ვასო კობახიძეს წარმატებით გამოჰყავს სოფელ ასურეთის საკოლმეურნეო გუნდი. შემდეგ მას კვლავ გუნდის ხელმძღვანელად ვხედავთ მეტალურგთა ქალაქ რუსთავში, მომდევნო წლებში იგი კულტურის ცენტრალური სახლის ანსამბლშია, 1958 წლიდან კი სოფ. დიდი ლილოს კულტურის სახლთან არსებულ გუნდს ხელმძღვანელობს.

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის მუსიკალურ სეიფში მრავლად ინახება ვ. კობახიძის მიერ დამუშავებული ხალხური სიმღერები, გადატანილი ნოტებზე; ამ სიმღერებში ნათლად ჩანს ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებანი, შრომისადმი სიყვარული, მისი სწრაფვა სიკეთისადმი და ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის.

ღვაწლმოსილ ლოტბარს, ჩვენი კულტურის თავდადებულ მოღვაწეს ვასილ კობახიძეს ახლახან 70 წელი შეუსრულდა. კვლავ დაუცხრომელია მისი სიყვარული მუსიკისადმი; ახლა იგი ასწავლის სიმღერას თავის შვილიშვილებს, და პატარები გატაცებით უსმენენ მოხუც პაპას, ისე, როგორც ოდესღაც ნიკორწმინდაში თვითონ და მისი და-ძმები უსმენდნენ თავიანთ მამას.

ნელი ჩაჩავა

# რამდენ ადამიანს უცხოვრია დედამიწაზე

რამდენი ადამიანი დაიბადა დედამიწაზე მას შემდეგ, რაც კაცობრიობა არსებობს? ამ საინტერესო და რთულ კითხვაზე პასუხის გაცემა სცადეს ამერიკელმა დემოგრაფებმა რ. ვილეიმეიერმა და ფ. ლორიმერმა.

ამ მკვლევართა დასკვნით, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის დედამიწის ყველა კონტინენტზე ცხოვრობდა 200-300 მილიონი ადამიანი. თექვსმეტნახევარი საუკუნის შემდეგ — დაახლოებით 500 მილიონი. ამ დროიდან 200 წლის შემდეგ — ერთ მილიარდზე მეტი. ამჟამად დედამიწაზე ცხოვრობს სამ მილიარდზე მეტი ადამიანი.

მთლიანად, სწავლულთა აზრით, 600.000 წლის განმავლობაში (თუ თვლას დავიწყებთ პითეკანტროპების დროიდან) დედამიწაზე დაბადებულა დაახლოებით 77 მილიარდი ადამიანი.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. [illegible] რესპუბ. ბიბლიოთეკა

# მოზაიკა



## რა ფასად გაყიდეს რემბრანდტი?

ამას წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში 2 მილიონ 300 ათას დოლარად აუქციონით გაიყიდა რემბრანდტის სურათი „არისტოტელე ჰომეროსის ბიუსტთან“.

ბერნეტ-პარკში აუქციონზე მოხვედრა თითქმის შეუძლებელი იყო. რამდენიმე უმნიშვნელო სურათის გაყიდვის შემდეგ რიგი რემბრანდტზე მიდგა. პირვანდელ ფასს — 1 მილიონს სწრაფად გადაახტნენ. მდიდარმა ქვრივმა მისის სკუიტმა იარაღი დაჰყარა 1 მილიონ 900 ათასი დოლარის შემდეგ. დარჩა მხოლოდ ორი კონკურენტი: ქალაქ კლივლენდის მუზეუმი და ნიუ-იორკის მეტროპოლიტენმუზეუმი. კლივლენდის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი დამარცხებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჩათვალონ, როცა ზევით აღარ ასწევს თავის ოქროს კალამს. მყიდველმა ნიუ-იორკის მუზეუმიდან თქვა, — აუქციონიდან ჩემი გამოთიშვის ნიშანი იქნება მკერდიდან ხელის ჩამოღებაო. ფასი იზრდებოდა. დაძაბულობამ ზენიტს მიაღწია. უკანასკნელად ოქროს კალამი ზევით აღიმართა, როცა გამოაცხადეს ციფრი 2 მილიონ 250 ათასი დოლარი, გამარჯვება ნიუ-იორკის მუზეუმს დარჩა. გაზეთები წერდნენ, რომ ამ გამარჯვების შემდეგ ნიუ-იორკის მუზეუმის მუშაკი რამდენიმე დღეს გულზე ხელმიდებული დააბიჯებდა ქალაქის ქუჩებში და ამაყად შესცქეროდა გამვლელებს.




## საოცარი ბავშვი.

„საოცარი ბავშვი“ კიმ იუნ ვონი ამჟამად ოთხი წლისაა. იგი ცხოვრობს კორეაში, ქალაქ სეულში; მისი მშობლები ჯერ ისევ ახალგაზრდები არიან. მამა ფიზიკოსია, დედა — მედიცინის დოქტორი.

რასაც ახლა გიამბობთ, ზღაპარს უფრო ჰგავს, მაგრამ ყველაფერი ეს შიშველი ფაქტებია.

მეოთხე თვეზე კიმს ერთბაშად ამოუვიდა 19 კბილი, ორი დღის შემდეგ კი მან სიტყვების წარმოთქმა დაიწყო. ხუთი თვის ბიჭუნამ ფეხი აიდგა. ექვსი თვისა დამოუკიდებლად სეირნობდა, იმახსოვრებდა ცხოველთა სახელებს, ისწავლა წერა-კითხვა და ჭადრაკის თამაში.

როგორც კი ერთი წელი შეუსრულდა, კიმი სულ მალე თავისუფლად ლაპარაკობდა ინგლისურად. ერთი თვის შემდეგ დასძლია გერმანული. მალე ჩინურსაც დაეუფლა.

წლინახევრის კიმმა ფუნჯითა და ტუშით ხატვა დაიწყო. მისი ნახატები გამოქვეყნდა გაზეთებში, რომლებსაც იგი რეგულარულად კითხულობდა. ორი წლისა და ოთხი თვის კიმმა დღიურების წერა დაიწყო. მისი დღიური უკვე გადასცდა მეათასე გვერდს. სულ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა მისი ლექსების კრებული „ვარსკვლავები“.

სკოლის მერხზე მის გვერდით ათი წლით უფროსი ბავშვები სხედან. მაგრამ კიმს სკოლა უკვე აღარ აინტერესებს. შინ მამის ხელმძღვანელობით კიმი არაჩვეულებრივად იოლად წყვეტს ურთულეს ამოცანებს დიფერენციული და ინტეგრალური გამოთვლის გამოყენებით.

ათასობით უცხოელი ტურისტი ესწრაფვის არაჩვეულებრივი ვუნდერკინდის გაცნობას. შარშანდელი ივნისის ერთ დღეს მას შვიდასზე მეტი კაცი ესტუმრა. გაჯავრებულმა კიმმა დღიურში ჩაწერა: „აქ ყოველდღე მოდიან სტუმრები და მანამდე მაბეზრებენ თავიანთი შეკითხვებით, ვიდრე თავის ტკივილი არ დამეწყება. ყველაფერი მეზიზღება. არაფერი არ მინდა. მინდა მხოლოდ ფერადი ფანქრები“.



## საიდუმლო უბრალოდ იხსნება.

როგორც ცნობილია, კუ ცოცხლობს 300 წელს, ზღვის ვეშაპი — 400 წელს... სხვა მაგალითებს აღარ ჩამოვთვლით. გავიხსენებთ მხოლოდ ბიოლოგ ლ. ტრეტიაკოვის სიტყვებს: „კაცობრიობისათვის დიდად საწყენია, რომ მოცარტი და რაფაელი დაიხოცნენ ისე, რომ კუს ასაკსაც კი ვერ მიაღწიეს“.

სწავლულები ბევრს ფიქრობენ ახლა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხებზე. უმრავლესობას მიაჩნია, რომ სიცოცხლის გახანგრძლივებაზე უაღრესად კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს მოძრაობა; კიდევ ერთი — მეცნიერებამ დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ორმოცი წლის ასაკის შემდეგ ადამიანი უნდა სჭამდეს ერთი მესამედით ნაკლებს, ვიდრე მანამდე. ამერიკელი კარდიოლოგი პოლ უაიტი ამბობს: „თუ გინდა, რომ გულის დაავადება აიცდინო, ეცადე, ოცდაორი წლის ასაკის შემდეგ შენი წონა მუდამ შეეფარდებოდეს ნორმას. მუდამ იმოძრავე, ნუ მოსწევ. იმუშავე ბევრი, და იცოდე — შრომას ჯერ არავინ მოუკლავს“.

ახლა სამსახურში იშვიათად რომ ვინმე ფეხით მიდიოდეს; ხოლო ლევ ტოლსტოი იასნაია პოლიანადან მოსკოვში ფეხით დადიოდა. ალბათ, ამიტომაც იცოცხლა 82 წელი. ტოლსტოი 68 წლისა იყო, როცა მან და 20 წლის ჭაბუკმა, პიანისტმა გოლდენვეიზერმა კროსი მოაწყეს. 81 წლის ტოლსტოიმ თავის დღიურში ჩაწერა: „ვაჭენე ცხენი თხუთმეტი ვერსის მანძილზე. სულ ისეთ ოღროჩოღრო ადგილებზე მიმყავდა, რომ იძულებული ვიყავი ფაფარში ჩავფრენოდი“.

აკად. გ. სპერანსკი წერს: „პაპიროსის წევას თავი დავანებე 87 წლის წინათ. სულ პატარა ვიყავი, როცა თამბაქოს მოწევა ვცადე და კინაღამ გავიგუდე. ყინვისა არ მეშინიან — ზამთარში დავდივარ თხელი საგაზაფხულო პალტოთი. მთელს ჩემს სიცოცხლეში ავად არ ვყოფილვარ. მშველოდა სპორტი“.



## საზიანოა თუ არა წოლელა კითხვა?

მრავალ ოჯახში წააწყდებით ასეთ სურათს: კაცი თუ ქალი, სამუშაოდან რომ დაბრუნდება, დაისვენებს და მერე წამოწოლილი კითხულობს წიგნსა თუ ჟურნალს ან გაზეთს. შინაურები ეჩხუბებიან, რომ ეს დაუშვებელია, რომ ეს საზიანოა ჯანმრთელობისათვის, განსაკუთრებით მხედველობისათვის.

და აი ამ საკითხის გადაჭრა სცადა ამერიკელმა ოფტალმოლოგმა დ. ჯეკობსონმა. ხანგრძლივი ცდებისა და დაკვირვების შემდეგ მან დაასკვნა, რომ წოლელა კითხვა თვალებისათვის სავსებით უვნებელია; ამის გარდა, მხედველობას არ აზიანებს კითხვა მზის შუქზე, ან მკრთალ და სუსტ სინათლეზე. მთელი საიდუმლოება აქ ის არის, რომ კარგი და ნორმალური განათების დროს, კითხვა, უბრალოდ, სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს. მეცნიერის აზრით, თვალები შეიძლება დააზიანოს მხოლოდ ფიზიკურმა ტრავმამ. ერთადერთი, რაც ადამიანს ემუქრება წიგნის „არაწესიერი კითხვის“ დროს, ეს არის თავის ტკივილი.

გარეკანის პირველ გვერდზე: დედის პორტრეტი (1914წ.), მეოთხე გვერდზე: რიონჰესი (1933 წ.). (ნახატი დ. კაკაბაძისა).


მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 10/XI-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/XI-69 წ. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 3. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 4,2. ტირაჟი 43.100. შეკვ. № 3354. უე 02412.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина. 14.

# ასე მიმდინარეობდა ბრძოლა პირველობისათვის

მოჭადრაკე ქალთა 29-ე საკავშირო ჩემპიონატი.

ფოტო თარხან არჩვაძისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთადერთი წაგების შემდეგ. ბუხუტი გურგენიძე — ათნაირად იგებდი ამ პარტიას!..

ნანას ქვალდაკვალ.





„ფრონტი“ და „ზურგი“ (ნანა და დედამისი).



იერიში დაიწყო!

პარტია მოგებულია!





ИНДЕКС 76056

ეროვნული
ბიბლიოთეკა